პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 3 (10700) | პარასკევი, 4 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის, კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივისადმი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ესტონეთის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ, სახელმწიფო თეატრ „ვანემუინეს“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ და ესტონეთის სსრ ხელოვნების მუშაკების ე. ა. კაპისათვის, კ. ი. ლიანტსისა (კარმისა) და გ. გ. ერნესაქსისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

პ. ნანიკაშვილი. — ტექნიკური სიახლისათვის მებრძოლი (1-ლი გვერდი).

ერთხელ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ — გაზეთ „უენმინუიბაოს“ სტატია (მე-2 გვერდი).

სალამი ჩრდილოეთ პოლუსიდან (მე-3 გვერდი).

კ. ჯოხიძე. — მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დავეხმაროთ მშრომელებს საბინაო მშენებლობის გაფართოებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან შემდგარმა პლენუმმა, შეჯამა რა 1956 წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული დიდი და ნაყოფიერი მუშაობის წინასწარი შედეგები, მოგვიწოდა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ყოველი ღონე ვიხმაროთ თვითეული სამრეწველო საწარმოს, თვითეული მშენებლობის, ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო შესაძლებლობათა და რეზერვების გამოსაყენებლად პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

1956 წელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი სწრაფი ზრდისათვის დიდ ღონისძიებათა განხორციელების წელიწადი იყო. შემცირდა სამუშაო დრო უქმეებისა და დასვენების წინა დღეებში, ძირეულად გაუმჯობესდა საპენსიო უზრუნველყოფის საქმე, გაუქმდა სწავლის ქირა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, გადიდდა შვებულებათა ხანგრძლივობა ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის დროს და ა. შ. ამასთან მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი აღინიშნა სამრეწველო, საბინაო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მშენებლობის უმაგალითო გაჩაღებით.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელმა მზრუნველობამ მკაფიო გამოვლინება ჰპოვა 1956 წელს დაწყებული საბინაო მშენებლობის მასშტაბების გაფართოებაში.

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში ჩაღდება მასების ახალი მოძრაობა საბინაო მშენებლობაში მშრომელთა უშუალო მონაწილეობის გაფართოების შესახებ. ამ მოძრაობის ინიციატორები არიან გორკის საავტომობილო ქარხნის მუშები, რომლებმაც პირველი შრომითი მონაწილეობა მიიღეს ავტომობილმშენებელთა 20 მრავალბინიანი სახლის აგებაში და 15 დეკემბერს უკვე შესახლდნენ მათთვის განკუთვნილ ახალ ბინებში. ავტომობილმშენებელთა ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მრავალ სამრეწველო ცენტრში. მათი მაგალითისამებრ ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მუშებმა და მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს მომავალ წელს საკუთარი შრომით მონაწილეობა მიიღონ სულ ცოტა 70 საცხოვრებელი სახლის აგებაში, მათ შორის 50 რვაბინიანი სახლია. ასევე მასობრივად ებმებიან და პირადი შრომითი წვლილი შეიქვთ საბინაო მშენებლობის დაჩქარებისა და გაფართოების საქმეში მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის და მთელი რიგი სხვა ქალაქების საწარმოთა კოლექტივებს.

გორკის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივამ, როგორც ამის შესახებ წერდა ჩვენი გაზეთი, გამოხმაურება ჰპოვა თბილისშიც. რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი საწარმოს — კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კომკავშირელთა ინიციატივით ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს აქტიური შრომითი მონაწილეობა მიიღონ მუშათა საცხოვრებელი ოთხი სახლის აგებაში. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს ქარხნის ადმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. რედაქციაში შემოდის ცნობები, რომ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში პირადი მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის, ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის, თბილისის მთელ რიგ დიდ საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები.

მშრომელთა ამ ინიციატივას ყველა საშუალებით უნდა დაუჭირონ მხარი ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მათ საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ბინის სივიწროვეს განიცდიან, უნდა შეუქმნან ისეთი პირობები, რომ საშუალება ექნეთ წარმოებაში მაღალნაყოფიერ მუშაობასთან ერთად ყოველდღიურად რამდენიმე საათით მაინც იმუშაონ იმ სახლის მშენებლობაზე, სადაც მათთვის გამოყოფილი იქნება ბინა. ეს მუშათა და მოსამსახურეთა დიდ შრომითს დაინტერესებას გამოიწვევს.

ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ თბილისში, წარმოებს ინდივიდუალური და საბინაო-კოოპერაციული ბინათმშენებლობა. უნდა ითქვას, რომ როგორც ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს, ისე საბინაო-კოოპერაციულ ამხანაგობებს ბევრი დაბრკოლება ეღობებათ თავიანთ მუშაობაში, ხოლო დახმარებას კი ვერც თავიანთი პროფკავშირული ორგანიზაციებიდან და ვერც საშენი მასალებით მოვაჭრე ორგანიზაციებიდან ვერ გრძნობენ. ყურადღების ღირსია ერთი გარემოება: საბინაო-კოოპერაციული ამხანაგობები საცხოვრებელ სახლებს აშენებენ უმთავრესად ინდივიდუალური პროექტებით და ნაკლებად იყენებენ ტიპურ პროექტებს. ეს იწვევს მშენებლობის გაძვირებას, საშენი დეტალების დამზადების სირთულეს, მშენებლობის გაჭიანურებას. თბილისში ყაზბეგის ქუჩაზე საბინაო-კოოპერაციული ამხანაგობა № 15 აშენებს რვაბინიან სახლს ინდივიდუალური პროექტით. კარფანჯრები, კიბის მარში, შენობის მთელი რიგი სექციები არასტანდარტულია და ამან არ შეიძლება არ შეაფერხოს ამ სახლის მშენებლობის მოკლე ვადაში დამთავრება. აუცილებლად საჭიროა სათანადო საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საბინაო-კოოპერაციულ ამხანაგობათა წევრებს შორის გააძლიერონ ორგანიზაციული მუშაობა, ურჩიონ მათ ტიპური პროექტებისა და ადგილობრივი საშენი მასალების უფრო გაბედულად გამოყენება.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, საბჭოთა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბინაო მშენებლობის დაჩქარებაში მასებისათვის ყველა შესაძლებელი დახმარების გაწევასთან ერთად, ფართოდ უნდა განუმარტონ მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას საბინაო მშენებლობაში ყოველგვარი ზედმეტობა, ფართოდ გამოყენებულ იქნას ადგილობრივი საშენი მასალები.

მომდინარე წელს თბილისში საბინაო მშენებლობის ფრონტი მნიშვნელოვნად ფართოვდება. გათვალისწინებულია წლის განმავლობაში ქალაქის ფარგლებში გარდა იმ სახლებისა, რომლებსაც ინდივიდუალური ბინების მშენებლები და საბინაო-კოოპერაციული ამხანაგობები აშენებენ, აგებულ იქნას 150 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის სახლები, ე. ი. ბევრად მეტი, ვიდრე 1956 წელს.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა მოაწყონ მტკიცე კონტროლი საბინაო მშენებლობის მიმდინარეობაზე, დაეხმარონ მშრომელებს საბინაო მშენებლობის გაფართოებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

აკადემიკოს მ. დ. წინამძღვრიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. დ. წინამძღვრიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

გადაწყდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტს მიეკუთვნოს აკადემიკოს მ. დ. წინამძღვრიშვილის სახელობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაევალა გამოსცეს მ. დ. წინამძღვრიშვილის შრომების კრებული. გადაწყდა განსვენებულის საფლავზე დაიდგას ბარელიეფი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში შემოღებული იქნება აკადემიკოს მ. დ. წინამძღვრიშვილის სახელობის ორი სტიპენდია. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა დიდი შრომითი წარმატება მოიპოვეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში. მშენებლობის მუშაკებმა გაანაღდეს მიცემული სიტყვა — შეასრულეს 1956 წელს სიმძლავრის ამუშავების გეგმა და გეგმის გადამეტებით აამუშავეს ერთი ჰიდროგენერატორი. ამა წლის 28 დეკემბერს დამთავრდა მონტაჟი და სამრეწველო დენი გამოუშვა 105 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეთორმეტე ჰიდროაგრეგატმა. ამრიგად, ამ აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მოქმედი სიმძლავრე შეადგენს 1 მილიონ 260 ათას კილოვატს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ულოცავენ მოპოვებულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი შემდეგშიც უფრო მეტი სიმტკიცით იშრომებენ, რათა 1957 წელს დაამთავრონ მშენებლობა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისა სრული სიმძლავრით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ბრესტი, 2 იანვარი. (საქდესი). დღეს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის მეთაურობით.

ბრესტის ვაგზალში დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ფ. კლიმოვი და სხვები.

დელეგაციას შეხვდა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კიონიგი.

ბრესტში ჩამოსვლისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი გამოვიდა მიკროფონთან, საბჭოთა კავშირის მშრომელებს მიეულოცა ახალი წელი და უსურვა წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში.

ბრესტის ვაგზალი მორთული იყო ბელორუსიის სსრ, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. სტუმრების შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბელორუსიის სსრ და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დღესვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრა.

მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

3 იანვარს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები, მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

ბელორუსიის ვაგზალში სტუმრებს შეხვდნენ ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები, მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

ბაქანზე იყვნენ სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს პერსონალი, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. შესრულებულ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა ვაგზალში სიტყვა წარმოთქვა. (საქდესი).

გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ესტონეთის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად და ესტონეთის პროფესიული თეატრის ორმოცდაათი წლისთავის გამო, **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი „ესტონეთი“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 30 დეკემბერი.

გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო თეატრ „ვანემუინეს“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად და ესტონეთის პროფესიული თეატრის ორმოცდაათი წლისთავის გამო **სახელმწიფო თეატრი „ვანემუინე“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 30 დეკემბერი.

გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ესტონეთის სსრ ხელოვნების მუშაკების ე. ა. კაპისათვის, კ. ი. ლიანტსისა (კარმისა) და გ. გ. ერნესაქსისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და მოსკოვში ესტონური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის გამო მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

1. **კაპს** ეუგენ არტურის-ძეს — კომპოზიტორს.
2. **ლიანტსს** (კარმს) კაარელ იუხანის-ძეს — ტალინის ვ. კინგისეპის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
3. **ერნესაქსს** გუსტავ გუსტავის-ძეს — ესტონეთის სსრ ვაჟთა სახელმწიფო აკადემიური გუნდის დირიჟორსა და მხატვრულ ხელმძღვანელს, კომპოზიტორს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 30 დეკემბერი.

გამოიცა კრებული დოკუმენტებისა „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“

გამოიცა კრებული დოკუმენტებისა „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, შედგენილი საქართველოს სსრ არქივების სამმართველოსა და ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის მიერ.

კრებულში მოთავსებულია 572 დოკუმენტი, რომლებიც აშუქებენ რუსეთის პირველი რევოლუციის ყველა მთავარ ეტაპს საქართველოში. (საქდესი).

1957 წლის 10 მარტს აზერბაიჯანის სსრ მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების არჩევნებია

ბაქო, (საქდესი). აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დანიშნულია კვირას 1957 წლის 10 მარტს.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

ტექნიკური სიახლისათვის მებრძოლი

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა 1956 წელს სამშობლოს მისცა გეგმის გადამეტებით მრავალი ეშელონი ქვანახშირი, ამასთან ტონა-ქვანახშირის თვითღირებულება 4 მანეთითა და 38 კაპიკით შეამცირა და ამით საგრძნობი თანხის ეკონომია გასწია.

წარმატებათა მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიქვთ შახტში მომუშავე რაციონალიზატორებს, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან სამთო ტექნიკის პროგრესისათვის, საერთო წარმატებისათვის. ტყიბულელ მეშახტეთა შორის ერთი ასეთი სახელოვანი რაციონალიზატორია შ. კაკაბაძე.

ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური მეთოდის დანერგვისათვის გაჩაღებული ბრძოლის პერიოდში სტალინის სახელობის შახტის კოლექტივს მრავალი სიძნელე გადაეღობა. განსაკუთრებით გართულდა გადამუშავებული ტალახიანი წყლის დიდი სიღრმიდან ამოღვრა. მოქმედი ტუმბოებით ქვედა ჰორიზონტებიდან წყლის ამოქაჩვა ძნელდებოდა. ტუმბოები მალე გამოდიოდნენ მწყობრიდან გამტვირთავი დისკოების სწრაფი გაცვეთის გამო. შ. კაკაბაძემ რბილი ლითონით დამზადებული დისკოები შეცვალა ფოლადის დისკოებით. ამით თავიდან იქნა აცილებული ტუმბოების გაცდენა, გახანგრძლივდა მათი მუშაობის ვადა. მაგრამ ამით საქმეს საბოლოოდ არ ეშველა.

ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით ქვანახშირის ამოღების მკვეთრად გაფართოებამ შექმნა ტუმბოების წარმადობის გადიდების აუცილებლობა. ამ მიზნით ნოვატორმა მექანიკოსმა შეცვალა ტუმბოს კონსტრუქცია, გაადიდა მისი მუშა ფრთების რაოდენობა და ამის შემდეგ ტუმბომ წარმატებით ამოქაჩა ქვედა ჰორიზონტებიდან ტალახიანი წყალი, რითაც გაუმჯობესდა ჰიდრავლიკური ვსების კომპლექსის მუშაობა, დაჩქარდა ვსებითი სამუშაოები.



შ. კაკაბაძე.

• • •

მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებში მანქანებისა და მექანიზმების გადაადგილება დიდ შრომას და დროს მოითხოვს. განსაკუთრებით ძნელია ქვანახშირის მომზვეტი ტრანსპორტიორის მძიმე 1,2 ტონიანი ამძრავი ნაწილის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა.

შ. კაკაბაძემ დაამზადა სპეციალური ლითონის დოლი და იგი დაამაგრა ტრანსპორტიორის კბილანა ღერძზე. სამთო გამონამუშევარში გაჭიქილ ბიგს ან რაიმე საგანს გამოაბამენ ხოლმე ლითონის ბაგირის ერთ ბოლოს, ხოლო მის მეორე ბოლოს ამაგრებენ აღნიშნულ დოლზე. ტრანსპორტიორის ძრავის ჩართვით მოძრაობაში მოდის ლითონის დოლი, იგი იხვევს გაჭიმულ ბაგირს და ჯალამბრისებურად, ნელა ახდენს ტრანსპორტიორის ამძრავი ნაწილის გადაადგილებას. ამ წინადადების კონსტრუქცია უბრალოა, მაგრამ იგი დიდ შედეგს იძლევა. მან გააადვილა ტრანსპორტიორის გადატანა, დაჩქარა მისი მონტაჟი, შეამსუბუქა მექანიზატორების შრომა.

ზოგჯერ შახტში იქმნება იმის საჭიროება, რომ ცენტრალური განიავების ვენტილატორი სწრაფად გადაიყვანონ რევერსიაზე ანუ პირუკუ მუშაობაზე, რათა სამთო გამონამუშევრებში შეიცვალოს ჰაერის ჭავლის მიმართულება. მაგრამ ვენტილატორის არსებული კონსტრუქცია ამის საშუალებას არ იძლევა. განსაკუთრებით დიდ დროს მოითხოვს ვენტილატორის მძიმე ფარების გაღება. შ. კაკაბაძემ ორი მძიმე ფარის ნაცვლად დაამზადა ერთი შედარებით მჩატე და ფართო ფარი. იგი მოქმედებაში მოჰყავს მცირეძალიან ჯალამბარს. თუ წინათ ვენტილატორის რევერსიაზე გადასაყვანად დიდი დრო და 4-5 კაცის შრომა იყო საჭირო, ახლა ერთი კაცი ამ სამუშაოს რამდენიმე წუთში ასრულებს. შ. კაკაბაძის მიერ დანერგილი ეს ტექნიკური სიახლე ახლა ტყიბულის ყველა შახტშია გავრცელებული. ტყიბულის ყველა შახტში იყენებენ აგრეთვე ნოვატორი მექანიკოსის გამარტივებულ მომზვეტ ტრანსპორტიორს, გაუმჯობესებულ ექსკავატორს და მრავალ სხვა სამთო მექანიზმს.

ამჟამად შ. კაკაბაძე ამუშავებს კუმშჰაერზე მომუშავე მბიძგავი მექანიზმის შექმნის თემას. ერთი ასეთი მბიძგავი მექანიზმი უნდა გამართონ მიწის ზედაპირზე, საშახტო ვაგონების გადამყირავებელთან, მეორე კი საშახტო ჭაურთან. ეს მექანიზმები შეცვლიან საშახტო ვაგონების ხელით გაგორებას, დღეღამეში გაათავისუფლებენ 15 მუშას და დააჩქარებენ ვაგონების ბრუნვას.

ღამით დიდხანს არ ქრება სინათლე შ. კაკაბაძის — შახტის მთავარი მექანიკოსის და ამავე დროს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-ელექტრომექანიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტის ბინაში. მაგიდასთან დახრილი მუშაობს იგი, ამზადებს ნახაზებს, ქაღალდზე გადააქვს თავისი ჩანაფიქრი.

პ. ნანიკაშვილი,
სამთო ტექნიკოსი.

ერთხელ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ

III.

გაზეთ „ქენმინჭიგაოს“ სტატია

სტალინის შეცდომების ერთ-ერთი სერიოზული შედეგია დოგმატიზმის განვითარება. ყველა ქვეყნის კომუნისტურმა პარტიებმა სტალინის შეცდომათა დაგმობასთან ერთად გააჩაღეს ბრძოლა დოგმატიზმის დაძლევისათვის. ეს ბრძოლა სავსებით აუცილებელია. მაგრამ კომუნისტების ნაწილმა ხელი შეუწყო მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიის იდეოლოგიური მომდინარეობის განვითარებას, დაადგა რა სტალინის სრული უარყოფის გზას და წამოაყენა რა მცდარი ლოზუნგი „სტალინიზმთან“ ბრძოლისა. ასეთი რევიზიონისტული მიმდინარეობა, უეჭველია, ხელს უწყობს იმპერიალიზმის შემოტევას კომუნისტურ მოძრაობაზე, და ფაქტიურად იმპერიალიზმი აქტიურად იყენებს ამ მიმდინარეობას. გადაჭრით გამოვდგართ რა დოგმატიზმის წინააღმდეგ, ჩვენ ამავე დროს გადაჭრით უნდა გამოვიდეთ რევიზიონიზმის წინააღმდეგ.

მარქსიზმ-ლენინიზმს მიაჩნია, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში არსებობს საერთო ძირითადი კანონზომიერებანი, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ერს აქვს თავისებურებანი, რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ყველა ერი გაივლის კლასობრივ ბრძოლას და საბოლოოდ მიდის კომუნიზმიზაკენ ამ გზებით, რომელთა ზოგიერთი ძირითადი მომენტი ერთნაირია, ხოლო კონკრეტული ფორმები — სხვადასხვანაირი. მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტების უნარიანად გამოყენებით და საკუთარი ერების თავისებურებათა გათვალისწინებით სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატის საქმე წარმატებით გვირგვინდება. და თუ ყველა ქვეყნის პროლეტარიატი სწორედ ასე მოიქცევა, მას შეეძლება შექმნას თავისი ახალი გამოცდილება და მით გარკვეული, სხვა ერებისთვისაც ძვირფასი წვლილი შეიტანოს საერთოდ მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. დოგმატიკოსებს არ ესმით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო ჭეშმარიტებას შეუძლია მიიღოს კონკრეტული გამოვლინება და შესასრულოს როლი რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ გარკვეულ ეროვნულ თავისებურებათა მეშვეობით. მათ არა სურთ სერიოზულად შეისწავლონ მოცემული ქვეყნისა და მოცემული ერის საზოგადოებრივ-ისტორიული თავისებურებანი, არა სურთ პრაქტიკულად გამოიყენონ მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტება ამ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამიტომ მათ არ შეუძლიათ გამარჯვებამდე მიიყვანონ პროლეტარიატის საქმე.

რამდენადაც მარქსიზმ-ლენინიზმი არის განზოგადება მუშათა მოძრაობის გამოცდილებისა სხვადასხვა ქვეყნებში, რასაკვირველია, არ შეიძლება სერიოზული ყურადღება არ მიექცეს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გამოყენების საკითხს. ლენინი თავის წიგნში „რა ვაკეთოთ?“ ამბობდა: „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საერთაშორისოა თვით თავისი არსით. ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალურ შოვინიზმს. ეს ნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ ახალგაზრდა ქვეყანაში დაწყებულ მოძრაობას წარმატება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განახორციელებს სხვა ქვეყნების გამოცდილებას“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი 5, გვ. 461). აქ ლენინი იმაზე ლაპარაკობს, რომ რუსეთში ის-ის იყო დაწყებულ მუშათა მოძრაობას უნდა გამოეყენებინა დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის გამოცდილება. ეს მისი თვალსაზრისი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალგაზრდა სოციალისტურ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის გამოცდილების განხორციელებისთვისაც.

მაგრამ შესწავლა აუცილებლად სწორი მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს. საბჭოთა კავშირის მთელი გამოცდილება, მისი ძირითადი ნაწილის ჩათვლით, დაკავშირებულია გარკვეულ ეროვნულ თავისებურებებთან; სხვა ქვეყნებმა პირდაპირ კი არ უნდა გადაიღონ იგი. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საბჭოთა კავშირის გამოცდილება შეიცავს აგრეთვე შეცდომათა და წარუმატებლობათა გამოცდილებას. მთელი ეს გამოცდილება, როგორც წარმატებათა გამოცდილება, ისე წარუმატებლობათა გამოცდილება, ფასდაუდებელი განძია იმათთვის, ვინც მას უნარიანად სწავლობს, ვინაიდან იგი მას დაეხმარება შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს შორი გზით სიარული და ნაკლები ზიანი განიცადოს. და, პირიქით, თუ განურჩევლად გადაიღებ გამოცდილებას, მაშინ საბჭოთა კავშირის წარმატებათა გამოცდილებამაც კი, მის წარუმატებლობათა გამოცდილებაზე რომ აღარა ვთქვათ რა, შეიძლება გამოიწვიოს წარუმატებლობანი სხვა ქვეყნებშიც. ლენინი შემდეგ ამბობს: „ხოლო ასეთი განხორციელებისათვის არ კმარა ამ გამოცდილების მარტოოდენ გაცნობა ან უკანასკნელი რეზოლუციების მარტოოდენ გადმოწერა. ამისათვის საჭიროა უნარი — კრიტიკულად მოეკიდო ამ გამოცდილებას და დამოუკიდებლად შეამოწმო იგი. ვინც კი წარმოიდგენს, რა გიგანტურად გაიზარდა ყოველმხრივ და განშტოდა თანამედროვე მუშათა მოძრაობა, ის მიხვდება, თეორიული ძალებისა და პოლიტიკური (აგრეთვე რევოლუციური) გამოცდილების როგორი მარაგია საჭირო ამ ამოცანის შესრულებისათვის“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი 5, გვ. 461). ცხადია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატმა უკვე ხელში აიღო პოლიტიკური ძალაუფლება, საკითხი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე აქ ლენინი ლაპარაკობს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, 1931 წლიდან 1934 წლამდე, დოგმატიკოსები უარყოფდნენ ჩინეთის თავისებურებებს, პირდაპირ გადმოჰქონდათ რუსეთის რევოლუციის ზოგიერთი გამოცდილება, რის შედეგადაც რევოლუციურმა ძალებმა ჩვენს ქვეყანაში სერიოზული მარცხი განიცადეს. ეს მარცხი დიდი გაკვეთილი იყო ჩვენი პარტიისათვის. ჩვენმა პარტიამ 1935 წელს ძუნიიში შემდგარი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გაფართოებული სხდომიდან 1945 წელს შემდგარ სრულიად ჩინეთის VII ყრილობამდე განვლილ პერიოდში მთლიანად მოუღო ბოლო ამ დოგმატიკურ ხაზს, რომელმაც სერიოზული ზიანი მოგვაყენა. პარტიამ დარაზმა ყველა წევრი, მათ შორის ის ამხანაგებიც, რომლებმაც შეცდომები ჩაიდინეს, გაშალა ხალხის ძალები და ამის მეოხებით მოიპოვა გამარჯვება რევოლუციაში. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, შეუძლებელი იქნებოდა გამარჯვების მოპოვება. რამდენადაც ჩვენ გადავლახეთ დოგმატიკური ხაზი, ჩვენს პარტიას, რომელიც ამჟამად სწავლობს საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების გამოცდილებას, საშუალება აქვს შედარებით ნაკლები შეცდომები დაუშვას. სწორედ ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მთლიანად გავიგოთ, თუ რაოდენ აუცილებელი და ძნელია ამჟამად პოლონელი და უნგრელი ამხანაგების მიერ წარსული პერიოდის დოგმატიკური შეცდომების გამოსწორება.

ყოველთვის და ყველგან დოგმატიკური შეცდომები გამოსწორებულ უნდა იქნას. ჩვენ კვლავაც ვიხმართ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გამოვასწოროთ და თავიდან ავიცილოთ ამგვარი შეცდომები ჩვენს მუშაობაში. მაგრამ დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას საერთო არა აქვს რა რევიზიონიზმის დაშვებასთან. მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებს, რომ კომუნისტურ მოძრაობას სხვადასხვა ქვეყანაში აუცილებლად აქვს თავისი ეროვნული თავისებურებანი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ კომუნისტურ მოძრაობას სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება არ ჰქონდეს ძირითადი საერთო მომენტები, რომ მას შეუძლია გვერდი აუაროს მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტებას. დოგმატიზმის წინააღმდეგ ახლანდელ მოძრაობაში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ არიან ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის გამოცდილების პირდაპირ გადაღებასთან ბრძოლის ნიღბით უარყოფენ საბჭოთა კავშირის ძირითადი გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობას, ეფარებიან რა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად განვითარებას, უარყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტების მნიშვნელობას.

იმის შედეგად, რომ სტალინმა და ზოგიერთი სხვა სოციალისტური ქვეყნის წინანდელმა ხელმძღვანელებმა დაუშვეს სერიოზული შეცდომები, რომლებიც სოციალისტური დემოკრატიის დარღვევით გამოიხატა, ზოგიერთი მერყეული ელემენტი კომუნისტთა რიგებში, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ნიღბით, ცდილობს შეასუსტოს ან უარყოს პროლეტარიატის დიქტატურა, შეასუსტოს ან უარყოს სოციალისტური ქვეყნების დემოკრატიული ცენტრალიზმი, შეასუსტოს ან უარყოს პარტიის ხელმძღვანელი როლი.

პროლეტარიატის დიქტატურაში მჭიდროდ უნდა იყოს შეხამებული კონტრრევოლუციურ ძალებზე დიქტატურა უაღრესად ფართო სახალხო დემოკრატიასთან, ე. ი. სოციალისტურ დემოკრატიასთან. ეს სავსებით უეჭველია. პროლეტარიატის დიქტატურა ძლავრია და მას შეუძლია დაამარცხოს ძლიერი მტრები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, იკისროს სოციალიზმის აშენების დიადი ისტორიული ამოცანის შესრულება სწორედ იმიტომ, რომ იგი არის მშრომელი მასების დიქტატურა ექსპლოატატორებზე, დიქტატურა უმრავლესობისა უმცირესობაზე, სწორედ იმიტომ, რომ იგი ახორციელებს მშრომელთა ფართო მასებისათვის ისეთ დემოკრატიას, როგორსაც ვერ მოგვცემს ვერავითარი ბურჟუაზიული დემოკრატია. თუ არ იქნება მჭიდრო კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, თუ არ იქნება აქტიური მხარდაჭერა მშრომელთა ფართო მასების მხრივ, შეუძლებელია იყოს პროლეტარიატის რაიმე დიქტატურა, ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია პროლეტარიატის მტკიცე დიქტატურა. რაც უფრო დაძაბულია კლასობრივი ბრძოლა, მით უფრო უნდა ეჭიროს პროლეტარიატს ყველაზე გადამწყვეტი და ყველაზე თანმიმდევრული პოზიციები, ემყარებოდეს ხალხის ფართო მასებს, აძლიერებდეს მათს რევოლუციურ აქტივობას კონტრრევოლუციის ძალებზე გამარჯვების მოსაპოვებლად. მასების გრანდიოზული ბრძოლის გამოცდილებამ ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში და რევოლუციის შემდეგ მაშინვე წარმოშობილი სამოქალაქო ომის პერიოდში მთლიანად დაადასტურა ეს ჭეშმარიტება. „მასების ხაზი“, რაზეც მუდამ ლაპარაკობს ჩვენი პარტია, არის საბჭოთა კავშირის იმ პერიოდის გამოცდილების შესწავლის შედეგი. საბჭოთა კავშირში იმ პერიოდის დაძაბული ბრძოლა ძირითადად წარმოებდა ხალხის მასების უშუალო მოქმედების მეშვეობით და, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა მთლიანად გამოვლინებულიყო დემოკრატიული წესით. თუმცა ექსპლოატატორული კლასების მოსპობისა და კონტრრევოლუციის ძალების ძირითადი ლიკვიდაციის შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელია ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციის ნამთების მიმართ (ასეთი ნამთების მთლიანად მოსპობა შეუძლებელია იმპერიალიზმის არსებობის პერიოდში), მისი მახვილი მიმართული უნდა იყოს უმთავრესად გარეშე იმპერიალისტური აგრესიული ძალებისაგან თავდასაცავად. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდამ ვავითარებდეთ და ვაჯანსაღებდეთ სხვადასხვა დემოკრატიულ წესებს, ვაჯანსაღებდეთ სოციალისტურ კანონიერებას, ვაძლიერებდეთ ხალხის კონტროლს სახელმწიფო ორგანოებზე, ვავითარებდეთ დემოკრატიულ მეთოდებს სახელმწიფოსა და საწარმოების მართვის საქმეში, განვამტკიცებდეთ სახელმწიფო ორგანოების და საწარმოთა სამართველო ორგანოების მჭიდრო კავშირს ფართო მასებთან, ვსპობდეთ დაბრკოლებებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ამ კავშირს, და ვაღწევდეთ ბიუროკრატიული ტენდენციების შემდგომ დაძლევას, წინანდებურად დაჟინებით კი არ მოვითხოვდეთ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას კლასების ლიკვიდაციის შემდეგ და ამით ხელს ვუშლიდეთ სოციალისტური დემოკრატიის ჯანსაღ განვითარებას, როგორც ამას სტალინი სჩადიოდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრით გამოასწორა სტალინის შეცდომები ამ საკითხში, და ეს სავსებით სწორია.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ სოციალისტური დემოკრატია დაუპირისპირონ პროლეტარიატის დიქტატურას და იგი აურიონ ბურჟუაზიულ დემოკრატიაში. როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური და კულტურული თვალსაზრისით სოციალისტური დემოკრატიის ერთადერთი მიზანია პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა სოციალიზმის საქმის განმტკიცება, მათი აქტივობის განვითარება სოციალიზმის მშენებლობაში, მათი აქტივობის განვითარება ყველა ანტისოციალისტურ ძალებთან ბრძოლაში. ამიტომ, თუ რომელიმე დემოკრატია შეიძლება გამოყენებულ იქნას ანტისოციალისტური საქმიანობისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციალიზმის საქმის შესუსტებისათვის, ასეთ ეგრეთწოდებულ „დემოკრატიას“ არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს სოციალისტურ დემოკრატიასთან.

მაგრამ ზოგიერთს სხვანაირად ესმის ეს საკითხი, რის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა უნგრეთში მომხდარ ამბებზე გამოხმაურება. წარსული პერიოდის უნგრეთში იჩოვოდა დემოკრატიული უფლებები და ძირი ეთხრებოდა მშრომელთა რევოლუციურ აქტივობას, ხოლო სათანადო ლახვარი არ ჰქონდათ ჩაცემული კონტრრევოლუციონერებს, და 1956 წლის ოქტომბერში მათ შეძლეს ადვილად გამოეყენებინათ მასების უკმაყოფილება და მოეწყოთ შეიარაღებული ამბოხება. ეს იმას მოწმობს, რომ წარსული პერიოდის უნგრეთში ჯერჯერობით არ იყო დამყარებული პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ როგორ დააყენეს საკითხი ზოგიერთი ქვეყნის ინტელიგენტმა კომუნისტებმა ამ კრიზისულ მომენტში, რომელსაც უნგრეთი იმყოფებოდა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის, სოციალიზმისა და ფაშიზმის, მშვიდობისა და ომის გზაჯვარედინზე? მათ არათუ არ დააყენეს საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შესახებ, არამედ, პირიქით, გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სამართლიანი მოქმედების წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო დახმარების აღმოჩენა უნგრეთის სოციალისტური ძალებისათვის, გამოაცხადეს უნგრეთის კონტრრევოლუცია „რევოლუციად“ და რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისაგან მოითხოვეს „დემოკრატია“ კონტრრევოლუციონერებისათვის. ცალკეული სოციალისტური ქვეყნების ზოგიერთი გაზეთი დღემდე გააფთრებით სწამებს ცილს იმ რევოლუციურ ღონისძიებებს, რასაც ახორციელებენ უნგრელი კომუნისტები, რომლებიც გმირულად იბრძვიან მძიმე პირობებში, მაგრამ თითქმის კრინტსაც არ ძრავს მსოფლიო რეაქციის ანტიკომუნისტური, ანტიხალხური, მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების შესახებ. რას მოწმობენ ეს საკვირველი ფაქტები? ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ის „სოციალისტები“, რომლებიც ლაყბობენ დემოკრატიაზე პროლეტარიატის დიქტატურისაგან მოწყვეტით, ფაქტიურად გამოდიან ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ, ფაქტიურად გამოდიან კაპიტალიზმის სასარგებლოდ და სოციალიზმის წინააღმდეგ, თუმცა შესაძლოა ბევრ მათგანს ეს შეგნებულიც არ ჰქონდეს. ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ყველაზე არსებითია მარქსიზმში; პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებაში არის „მარქსისტის ყველაზე ღრმა განსხვავება ჩვეულებრივი წვრილი (და აგრეთვე მსხვილი) ბურჟუისაგან“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი 25, გვ. 507). ლენინი მოითხოვდა, რომ პროლეტარულ ხელისუფლებას უნგრეთში 1919 წელს „გამოეყენებინა დაუნდობელი, მკაცრი, ჩქარი და გაბედული ძალმომრეობა“ კონტრრევოლუციონერთა დასათრგუნავად, აგრეთვე თქვა, რომ „ვინც ეს ვერ გაიგო, რევოლუციონერები არ არიან და უნდა გადავაყენოთ ბელადების ან პროლეტარიატის მრჩეველთა პოსტიდან“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი 29, გვ. 453-454). აქედან ჩანს, რომ ვინც, ამჩნევს რა სტალინის შეცდომებს მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში და წარსული პერიოდის ხელმძღვანელთა შეცდომებს, უარყოფს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ცილისწაყმეტლურად უწოდებს ამ ძირითად დებულებებს რაღაც „სტალინიზმსა“ და „დოგმატიზმს“, ის აღგება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ღალატის და პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ზურგის შექცევის გზას.

ადამიანები, რომლებიც უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას, უარყოფენ აგრეთვე ცენტრალიზაციის აუცილებლობას სოციალისტური დემოკრატიისათვის, უარყოფენ პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელ როლს სოციალისტურ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა რაიმე ახალი როდია მარქსისტ-ლენინელებისათვის. ჯერ კიდევ ანარქისტებთან ბრძოლის დროს ენგელსი აღნიშნავდა, რომ ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში აუცილებელია ერთგვარი ავტორიტეტი და ერთგვარი დაქვემდებარება, თუ კი არსებობს კომბინირებული საქმიანობა. ავტორიტეტსა და ავტონომიას შორის ურთიერთობა შეფარდებითის ხასიათს ატარებს. მათი გამოყენების სფერო იცვლება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ფაზებთან ერთად. ენგელსი ამბობდა: „უაზრობაა ავტორიტეტის პრინციპი აბსოლუტურად ცუდად დავსახოთ, ხოლო ავტონომიისა აბსოლუტურად კარგ პრინციპად ვაღიაროთ“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტომი I, გვ. 742). შემდეგ მან თქვა, რომ ის, ვინც მტკიცედ იცავს ასეთ უაზრო კონცეპციას, სინამდვილეში მხოლოდ „რეაქციის მსახურად გამოდის“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, გვ. 743). იბრძოდა რა მენშევიკების წინააღმდეგ, ლენინმა მოგვცა ამომწურავი მითითებანი პროლეტარიატის საქმისათვის პარტიის ორგანიზებული ხელმძღვანელობის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ. აკრიტიკებდა რა „მემარცხენე“ კომუნიზმს გერმანიაში 1920 წელს, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფა, ხელმძღვანელთა როლის უარყოფა, დისციპლინის უარყოფა — „ეს... უდრის პროლეტარიატის სრულ განიარაღებას **ბურჟუაზიის სასარგებლოდ**. ეს უდრის სწორედ იმ წვრილბურჟუაზიულ დაქსაქსულობას, მერყეობას, გამძლეობის, გაერთიანების, მწყობრი მოქმედების უუნარობას, რომელიც ყოველ პროლეტარულ რევოლუციურ მოძრაობას აუცილებლად დაღუპავს, თუ მას გასაქანი მიეცი“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი 31, გვ. 34). მოძველდა ეს დებულებები? არ შეიძლება მათი გამოყენება ზოგიერთი ქვეყნის სპეციფიკური პირობების მიმართ? სტალინის შეცდომებამდე მიგვიყვანს ამ დებულებათა გამოყენება? სავსებით ცხადია, რომ ფაქტები ასეთი არ არის. მარქსიზმ-ლენინიზმის ამ დებულებებმა გაუძლო გამოცდას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და სოციალისტური ქვეყნების განვითარების ისტორიაში, და დღემდე ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი გარემოებანი, რომლებიც შეიძლებოდეს გამონაკლისად მიჩნიონთ.

სტალინის შეცდომები აიხსნება არა იმით, რომ განხორციელებულ იქნა დემოკრატიული ცენტრალიზმი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და განხორციელდა პარტიული ხელმძღვანელობა, არამედ სწორედ იმით, რომ სტალინი გარკვეული მასშტაბებით და რამდენადმე არღვევდა დემოკრატიულ ცენტრალიზმს, არღვევდა პარტიულ ხელმძღვანელობას. სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული ცენტრალიზმის სწორად განხორციელება, სოციალიზმის საქმისადმი პარტიის ხელმძღვანელობის სწორად გაძლიერება ძირითადი გარანტიაა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მძლავრი განვითარებისა ხალხთა დარაზმვის, მტრებზე გამარჯვების მოპოვებისა და სიძნელეთა გადალახვის საფუძველზე. სწორედ ამიტომ იმპერიალისტები და ყველა კონტრრევოლუციური ელემენტები, ლახვარი რომ ჩასცენ ჩვენს საქმეს, სულ მუდამ მოითხოვენ ჩვენგან „ლიბერალიზაციას“, სულ მუდამ თავს უყრიან ძალებს, რათა ძირი გამოუთხარონ ხელმძღვანელ აპარატს ჩვენს საქმეში, რათა დაარღვიონ პროლეტარიატის ბირთვი — კომუნისტური პარტია. მათ უდიდესი კმაყოფილება გამოთქვეს „არამყარი მდგომარეობის“ გამო, რომელიც ამჟამად ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში წარმოიშვა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში დისციპლინის დარღვევის მიზეზით, და, სარგებლობენ რა ამ შემთხვევით, გააქტიურეს თავიანთი ძირგამმთხრელი საქმიანობა. ეს ფაქტი იმას მოწმობს, თუ რა სერიოზული მნიშვნელობა აქვს ხალხის მასების ძირითადი ინტერესებისათვის დემოკრატიული ცენტრალიზმის ავტორიტეტის დაცვას, პარტიული ხელმძღვანელობის როლის დაცვას. უეჭველია, რომ დემოკრატიულ ცენტრალიზმში ცენტრალიზაცია ფართო დემოკრატიულ საწყისებს უნდა ემყარებოდეს, ხოლო პარტიული ხელმძღვანელობა ხალხის მასებთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელმძღვანელობა უნდა იყოს. ნაკლოვანებებს ამაში მტკიცედ უნდა ვგმობდეთ და ვსპობდეთ. მაგრამ ამ ნაკლოვანებათა ყოველ დაგმობას მიზნად უნდა ჰქონდეს მხოლოდ დემოკრატიული ცენტრალიზმის განმტკიცება, პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს დაქსაქსულობასა და აბნეულობას პროლეტარიატის რიგებში, როგორც ამის მიღწევას ცდილობს მტერი.

იმათ შორის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიას ეწევა დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, ისეთებიც არიან, რომლებიც პირდაპირ უარყოფენ ზღვარს პროლეტარიატის დიქტატურასა და ბურჟუაზიის დიქტატურას შორის, უარყოფენ ზღვარს სოციალისტურ სისტემასა და კაპიტალისტურ სისტემას შორის, [illegible] ზღვარს სოციალიზმ[illegible] ბანაკს შორის. მათი აზრით, ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში შეიძლება აშენდეს სოციალიზმი ისე, რომ გვერდი აევლოს პროლეტარულ რევოლუციას, რომელსაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატის პოლიტიკური პარტია, ისე, რომ არ შეიქმნას სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატის პოლიტიკური პარტია; მათი აზრით, ამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფო კაპიტალიზმი უკვე სოციალიზმია და უკვე წარმოებს ადამიანთა თვით მთელი საზოგადოების „შეზრდა“ სოციალიზმში. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ისინი ასეთ პროპაგანდას ეწევიან, იმპერიალიზმი აწარმოებს აქტიურ მზადებას დიდი ხნის წინათ შექმნილი სოციალისტური ქვეყნებისათვის „ძირის გამოსათხრელად“ და მათ „გასანადგურებლად“, რისთვისაც ამობილიზებს მთელ სამხედრო-ეკონომიურ, დიპლომატიურ, აგენტურულ და „მორალურ“ ძალებს, რომელთა მობილიზებაც კი შეიძლება. ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერები, რომლებიც ამ ქვეყნებში იმალებიან ან საზღვარგარეთ გაიქცნენ, ყოველნაირად მიისწრაფვიან რესტავრაციისაკენ. თუმცა რევიზიონისტური მიმდინარეობანი იმპერიალიზმის ხელსაყრელ საქმეს აკეთებენ, იმპერიალისტთა მოქმედება რევიზიონიზმის სასარგებლო როდია, და ეს მოქმედება რევიზიონიზმის გაკოტრებას მოწმობს.

IV.

იმპერიალიზმის შემოტევის მოგერიების საქმეში ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ამოცანაა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება. ყველა ქვეყნის იმპერიალისტები და რეაქციონერები კომუნიზმის მოსპობის მიზნით იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ვიწრო ეროვნულ გრძნობებს და მათ შორის ერთგვარ ეროვნულ განკერძოებულობას იმისათვის, რომ ყოველნაირად გამოუთხარონ ძირი პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას. მტკიცე პროლეტარული რევოლუციონერები გადაჭრით იცავენ ამ სოლიდარობას და ამ სოლიდარობაში ხედავენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საერთო ინტერესებს. არამყარი ელემენტები კი მერყეობენ და მკაფიო პოზიცია არ უჭირავთ ამ საკითხში.

კომუნისტური მოძრაობა თავისი ხასიათით თავიდანვე საერთაშორისო მოძრაობაა, ვინაიდან ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მხოლოდ ერთობლივი ღონისძიებებით შეუძლია მოუღოს ბოლო ჩაგვრას, რომელსაც ერთობლივად ახორციელებს ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, და განახორციელოს თავისი ერთობლივი ინტერესები. კომუნისტური მოძრაობის საერთაშორისო სოლიდარობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროლეტარული რევოლუციის საქმის განვითარებას სხვადასხვა ქვეყანაში.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი ბიძგი მისცა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გასული 39 წლის განმავლობაში საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია და მძლავრი პოლიტიკური ძალა გახდა მსოფლიო მასშტაბით. მთელი მსოფლიოს პროლეტარები და ყველა, ვინაც განთავისუფლება სწყურია, კაცობრიობის ნათელი მომავლის მთელ იმედებს ამ მოძრაობის გამარჯვებაზე ამყარებენ.

იმის მეოხებით, რომ საბჭოთა კავშირი არის გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყანა, ხოლო სოციალიზმის ბანაკის გაჩენის შემდეგ — ამ ბანაკში ყველაზე ძლიერი ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მდიდარი გამოცდილება მოეპოვება, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი დახმარება გაუწიოს სოციალისტური ქვეყნებისა და კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნების ხალხებს, იგი 39 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ წარმოადგენს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცენტრს. ეს არის ისტორიული პირობების გამო ბუნებრივად ჩამოყალიბებული და არა ვინმეს მიერ ხელოვნურად განსაზღვრული გარემოება.

სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატის საერთო საქმის ინტერესებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით იმპერიალისტური ბანაკის მიერ სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ გაჩაღებული შემოტევის ერთობლივი მოგერიებისათვის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის საერთო აღმავლობისათვის ჩვენ კვლავაც უნდა განვამტკიცოთ საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობა ცენტრით საბჭოთა კავშირში.

ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების საერთაშორისო სოლიდარობის ურთიერთობა კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი ტიპის ურთიერთობას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ასეთი ურთიერთობის განვითარების პროცესი არ შეიძლება ისე მიმდინარეობდეს, რომ სიძნელეებს არ ხვდებოდეს. ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები უნდა გაერთიანდნენ, მაგრამ ამავე დროს მათ უნდა შეინარჩუნონ თავიანთი დამოუკიდებლობა. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ თუ არასწორად შეახამებ ამ მხარეებს და უგულებელყოფ რომელიმე ამ მხარეს, ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს შეცდომები. როცა ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები ერთმანეთს შორის იცავენ თანასწორუფლებიან ურთიერთობას, აღწევენ შეხედულებათა და მოქმედების ერთიანობას ნამდვილი და არა ფორმალური კოსმეტიკების გზით, მაშინ მათი სოლიდარობა მტკიცდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ურთიერთდამოკიდებულებაში ძალადობით მოახვევ თავს შენს შეხედულებებს სხვებს ან შეცვლი ამხანაგურ წინადადებებსა და კრიტიკას ერთმანეთის სამინაო საქმეებში ჩარევის მეთოდით, ამ სოლიდარობას ზიანი მიადგება. იმის გამო, რომ კომუნისტურ პარტიებს უკვე აკისრიათ პასუხისმგებლობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობისათვის, და იმის გამო, რომ პარტიებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ხშირად უშუალოდ ვრცელდება ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობაზე, სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის სწორი მოწესრიგება გახდა საკითხი, რომელსაც კიდევ უფრო დიდი სიფრთხილითა და სერიოზულობით უნდა ვუდგებოდეთ.

მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველთვის მტკიცედ გამოდის იმის მომხრედ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი შეხამებული იყოს თვითეული ხალხის პატრიოტიზმთან. ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები თავიანთ წევრებსა და ხალხს უნდა ზრდიდნენ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ვინაიდან ყველა ქვეყნის ხალხთა ნამდვილი ეროვნული ინტერესები მოითხოვს ხალხებს შორის, მეგობრულ თანამშრომლობას. ამასთან ერთად,

ერთხელ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ

(დასასრული)

ტენდენციას თვითმპყრობელური შოვინიზმის მიმართულებით. ამ ტენდენციის არსია საერთაშორისო გაერთიანებაში კომუნისტური პარტიებისა და სოციალისტური ქვეყნების დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი მდგომარეობის უგულებელყოფა. ეს ტენდენცია განპირობებულია გარკვეული ისტორიული მიზეზებით. რა თქმა უნდა, დიდი ქვეყნების ურთიერთობაში პატარა ქვეყნებთან რჩება ძველი დროის ფესვგადგმულ ჩვეულებათა ერთგვარი გავლენა, ამასთან პარტიის ან ქვეყნის მერ რევოლუციის საქმეში მოპოვებული მთელი რიგი გამარჯვებანი არ შეიძლება არ იწვევდნენ ადამიანებში უპირატესობის გრძნობას.

სწორედ ამიტომ დიდმპყრობელური შოვინიზმის ტენდენციის დასაძლევად საჭიროა სისტემატური ღონისძიებანი. დიდმპყრობელური შოვინიზმი მხოლოდ რომელიმე ერთი ქვეყნის დამახასიათებელი მოვლენა როდია. თუ **ბ** ქვეყანა უფრო პატარაა და უფრო ჩამორჩენილია **ა** ქვეყანაზე, მაგრამ იგი უფრო დიდია **გ** ქვეყანაზე და მასთან შედარებით უფრო მოწინავეა, მაშინ **ბ** ქვეყანას, მიუხედავად **ა** ქვეყნის მიმართ თავისი სამდურავისა დიდმპყრობელური შოვინიზმისათვის, **გ** ქვეყნის მიმართ მაინც ხშირად თავი უჭირავს როგორც დიდ სახელმწიფოს. ჩვენ, ჩინელებს, განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს, რომ ხანის, ტანის, მინისა და ცინის დინასტიების პერიოდებში ჩვენი ქვეყანაც დიდი იმპერია იყო, თუმცა დაახლოებით ასი წლის განმავლობაში, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჩვენი ქვეყანა, აგრესიის ობიექტი რომ გახდა, გადაქცეულ იქნა ნახევრადკოლონიად, თუმცა ჩვენი ქვეყანა ამჟამად ეკონომიურად და კულტურულად ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ქვეყანაა, მაგრამ როცა პირობები შეიცვლება, დიდმპყრობელური შოვინიზმის ტენდენცია, უეჭველია, სერიოზული საფრთხე გახდება, თუ ყოვლისადრად არ ავიცილეთ იგი თავიდან. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა საფრთხემ ამჟამად უკვე იჩინა თავი ზოგიერთ ჩვენს მუშაკებში. ამიტომ როგორც ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობის რეზოლუციაში, ისე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 1956 წლის 1 ნოემბრის განცხადებაში ჩვენი მუშაკების წინაშე დასახულია დიდმპყრობელური შოვინიზმის ტენდენციასთან ბრძოლის ამოცანა.

მაგრამ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას მარტო დიდმპყრობელური შოვინიზმი როდი უშლის ხელს. წარსულში დიდი ქვეყნები პატივს არ სცემდნენ და კიდევაც ჩაგრავდნენ პატარა ქვეყნებს, ხოლო პატარა ქვეყნები, თავის მხრივ, ხულმბლობით და მტრულადაც კი ეკიდებოდნენ დიდ ქვეყნებს. ეს ორი ტენდენცია ამა თუ იმ ზომით ჯერ კიდევ არის ხალხებს შორის და სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატის რიგებშიც კი. ამიტომ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების მიზნით იმასთან ერთად, რომ უშინარეს ყოვლისა დაძლეულ იქნას დიდმპყრობელური შოვინიზმის ტენდენცია უფრო დიდ ქვეყნებში, საჭიროა აგრეთვე დაძლეულ იქნას ნაციონალიზმის ტენდენცია უფრო პატარა ქვეყნებში. როგორც დიდ, ისე პატარა ქვეყნებში კომუნისტები თუ დაუპირდაპირებენ თავიანთი ქვეყნისა და თავიანთი ერის ინტერესებს საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის საერთო ინტერესებს და გაილაშქრებენ უკანასკნელის წინააღმდეგ პირველის დაცვის საბაბით, თუ პრაქტიკულ მოქმედებაში ჯეროვნად არ დაიცავენ საერთაშორისო სოლიდარობას, არამედ, პირიქით, ზიანს მიაყენებენ მას, ეს იქნება სერიოზული შეცდომა, მიმართული ინტერნაციონალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ.

სტალინის შეცდომები თავის დროზე აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ხალხთა სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა. მაგრამ ამ ქვეყნებში ზოგიერთი ადამიანის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი აგრეთვე არ არის სამართლიანი. ბურჟუაზიული ნაციონალისტები მთელი ძალებით ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ადამიანები აზიაღდებდნენ საბჭოთა კავშირის ნაკლოვანებებს და ჩქმალავდნენ მის სასარგებლო წვლილს. ისინი ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ადამიანები არ ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორი იქნებოდა იმპერიალიზმის დამოკიდებულება ამ ქვეყნებისა და ხალხებისადმი, საბჭოთა კავშირი რომ არ არსებობდეს. ჩვენ, ჩინელი კომუნისტები, დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ პოლონეთისა და უნგრეთის კომუნისტური პარტიები ამჟამად სერიოზულად აღკვეთენ საქმიანობას მავნებლური ელემენტებისა, რომლებიც ბოროტ ანტისაბჭოთა ჭორებს ავრცელებენ და მოძმე ქვეყნებს შორის ეროვნულ ანტაგონიზმს აღვივებენ, და რომ ისინი შეუდგნენ ნაციონალისტურ წინარწმენათა აღმოფხვრას, რომლებსაც ვხვდებით ხალხთა მასების ნაწილში და პარტიის წევრთა ნაწილშიც კი. სავსებით ცხადია, რომ ეს ერთ-ერთი უაღრესად საჭირო ღონისძიებაა, სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განსამტკიცებლად.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა წარსულ პერიოდში ძირითადად შეესაბამებოდა საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს, ჩაგრული ერების ინტერესებს, მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს. წარსული 39 წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა უდიდესი ღონისძიებანი განახორციელა და გმირული მსხვერპლი გაიღო, დახმარებას უწევდა რა ყველა ქვეყნის ხალხთა საქმეს. სტალინის ზოგიერთი შეცდომა ოდნავაც ვერ ამცირებს დიდი საბჭოთა ხალხის ამ ისტორიულ დამსახურებას.

საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, საბჭოთა კავშირის მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაცია და საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის 1956 წლის ნოემბრის მოლაპარაკება ცხადყოფენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას საბოლოოდ აღმოფხვრან შეცდომები, რომლებიც წარსულში საგარეო ურთიერთობაში არსებობდა. საბჭოთა კავშირის ყველა ეს ნაბიჯი დიდმნიშვნელოვანი წვლილია პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების საქმეში.

სავსებით ცხადია, რომ დღეს, როცა იმპერიალისტები გააფთრებულ შეტევას აწარმოებენ ყველა ქვეყნის კომუნისტთა რიგებზე, ყველა ქვეყნის პროლეტარიატი გაძლიერებით უნდა განმტკიცებდეს ურთიერთ სოლიდარობას. ძლიერი მტრის წინაშე აზრთა ყოველმა გამოთქმამ და მოქმედებამ, მიუხედავად იმისა, თუ რა სახელწოდებით იქნებიან ისინი წარმოდგენილი, თუ კი ისინი აბრკოლებენ საერთაშორისო კომუნისტური რიგების შემჭიდროებას, საეჭვოა თანაგრძნობა ჰპოვონ ყველა ქვეყნის კომუნისტებსა და მშრომელებში.

განმტკიცება პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობისა, რომლის ცენტრი საბჭოთა კავშირია, შეესაბამება არა მარტო ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესებს, არამედ მთელი მსოფლიოს ჩაგრული ერების დამოუკიდებლობისათვის მოძრაობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებსაც. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ფართო მასები თავიანთი საკუთარი გამოცდილებით ადვილად მიხვდებიან, თუ ვინ არის მათი მტერი და ვინ — მეგობარი. ამიტომ იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებულმა ანტიკომუნისტურმა, ანტიხალხურმა და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ შეიძლება მხოლოდ კანტიკუნტად ჰპოვოს გამოხმაურება და ისიც მარტო ერთ მუჭა ადამიანებში მსოფლიოს ამ ქვეყნების მილიარდზე მეტ მოსახლეობას შორის. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, სხვა სოციალისტური ქვეყნები და იმპერიალისტური ქვეყნების რევოლუციური პროლეტარიატი ერთგული მომხრენი არიან ეგვიპტის ბრძოლისა აგრესიის წინააღმდეგ, ერთგული მომხრენი არიან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დამოუკიდებლობის საქმისა. სოციალისტურ ქვეყნებს, იმპერიალისტური ქვეყნების პროლეტარიატს და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქვეყნებს — ძალთა ამ სამ კატეგორიას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქვს საერთო ინტერესები, მათს ურთიერთ მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის პერსპექტივებისა და მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

იმპერიალისტურმა აგრესიულმა ძალებმა უკანასკნელ ხანს კვლავ შექმნეს ერთგვარი დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში. მაგრამ ძალთა სამი ზემოაღნიშნული კატეგორიის ერთობლივ ბრძოლასა და მთელი მსოფლიოს ყველა დანარჩენი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთობლივ ღონისძიებებზე დაყრდნობით კვლავ შეიძლება მივაღწიოთ ასეთი დაძაბული ვითარების შენელებას. იმპერიალისტურმა აგრესიულმა ძალებმა ვერაფერი ვერ მოიგეს ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიით, არამედ, პირიქით, მძიმე დარტყმა მიიღეს. იმ დახმარების მეოხებით, რომელიც საბჭოთა ჯარებმა უნგრელ ხალხს გაუწიეს, ჩაიფუშა იმპერიალიზმის ის გეგმებიც, რომელთა მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპაში ომის პლაცდარმის შექმნა და სოციალისტური ბანაკის შემჭიდროებისათვის ძირის გამოთხრა. ყველა სოციალისტური ქვეყანა მტკიცედ ემხრობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობას, დიპლომატიური ურთიერთობისა და ეკონომიური და კულტურული კავშირის განვითარებას, საერთაშორისო დავის დაგაჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგია ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა, ემხრობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის ზონის გაფართოებას, მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის გამოყენების სფეროს გაფართოებას. ყველა ეს ღონისძიება აუცილებლად მოიპოვებს მთელი მსოფლიოს ჩაგრული ერებისა და მშვიდობისმოყვარე ხალხების სულ უფრო და უფრო მეტ თანაგრძნობას. პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება გამოიწვევს იმას, რომ აგრესიული იმპერიალისტები ვერ გაბედავენ წინდაუხედავად წამოიწყონ ავანტიურა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება ამ ღონისძიებებს, საბოლოო ანგარიშით მშვიდობის ძალები დაამარცხებენ ომის ძალებს.

* * *

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორია, თუ მას ვიანგარიშებთ პირველი ინტერნაციონალის შექმნიდან 1864 წელს, სულ მხოლოდ 92 წელს ითვლის. ამ 92 წლის განმავლობაში მთელი მოძრაობა ფრიად სწრაფად ვითარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოღრო-ჩოღრო და მეხვეულ-მოხვეული გზით მიდიოდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გაჩნდა საბჭოთა კავშირი, რომელსაც დედამიწის ტერიტორიის ერთი შეეკვსედი ნაწილი უჭირავს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი გაჩნდა სოციალისტური ბანაკი, რომელიც მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მესამედს მოიცავს. ეს სოციალისტური ქვეყნები უშვებდნენ ამა თუ იმ შეცდომებს, რომლებიც უხაროდათ მტრებს და რომლებსაც მძიმედ განიცდიდა ზოგიერთი ამხანაგი და მეგობარი, ამასთან მათმა ნაწილმა მერყეობაც კი გამოიჩინა კომუნიზმის საქმის პერსპექტივების მიმართ. მაგრამ როგორც მტრების სიხარულისათვის, ისე ამხანაგებისა და მეგობრების დანაღვლიანებისა და მერყეობისათვის საკმაო საფუძვლები არ არის. უფრო გვიან შექმნილ სახელმწიფოებში პროლეტარიატმა სახელმწიფოს მართვა პირველად აიღო თავის ხელში სულ მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ, ხოლო უფრო ადრე შექმნილ სახელმწიფოებში — სულ მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინათ. ამიტომ არ შეიძლება მოეთხოვოს პროლეტარიატს, რომ მას რაიმე წარუმატებლობა არ ჰქონდეს. ხანმოკლე და ნაწილობრივი წარუმატებლობანი არა მარტო იყო წარსულში და არის ამჟამად, არამედ იქნება მომავალშიც, მაგრამ არც ერთი შორსმჭვრეტელი ადამიანი არასოდეს არ იგრძნობს ამის გამო იმედგაცრუებას და არ მიეცემა პესიმიზმს. დამარცხება წარმატების დედაა. სწორედ ახლადდელი ნაწილობრივი და ხანმოკლე წარუმატებლობანი ამდიდრებენ საერთაშორისო პროლეტარიატის პოლიტიკურ გამოცდილებას და ამზადებენ პირობებს უდიდეს წარმატებათა მოსაღწევად უსაზღვრო მომავალში. თუ შევადარებთ ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციების ისტორიას, ეს წარუმატებლობანი ჩვენს საქმეში მეტად უმნიშვნელოა. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია 1640 წელს დაიწყო. მაგრამ მეფეზე გამარჯვების შემდეგ დამყარებულ იქნა კრომველის დიქტატურა, შემდეგ 1660 წელს რესტავრირებულ იქნა უწინდელი სამეფო დინასტია. 1688 წელს ბურჟუაზიულმა პარტიებმა სახელმწიფო გადატრიალების გზით ნიდერლანდიდან მიიწვიეს მეფე, რომელიც საზღვაო და სახმელეთო ჯარებით შევიდა ინგლისის ტერიტორიაზე. ინგლისის ბურჟუაზიის დიქტატურა მხოლოდ მაშინ გახდა მყარი. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია მისი დაწყების მომენტიდან — 1789 წლიდან 1875 წლამდე, როცა შეიქმნა მესამე რესპუბლიკა, 86 წელს ითვლის. იგი მეტისმეტად არამყარი იყო — აქ რიგრიგობით ცვლიდა ერთმანეთს პროგრესი და რეაქცია, რესპუბლიკა და მონარქია, რევოლუციური ტერორი და კონტრრევოლუციური ტერორი, სამოქალაქო ომი და სხვა ქვეყნებთან ომი, უცხო სახელმწიფოთა დამორჩილება და უცხო სახელმწიფოთა წინაშე კაპიტულაციები. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ შეავწროება განიცადა მთელი მსოფლიოს გაერთიანებული რეაქციული ძალების მხრივ, მისი განვითარების გზა საერთოდ ბევრად უფრო წარმატებით მიმდინარეობდა და უფრო მყარი იყო. სწორედ იმ მოწმობს სოციალისტური სისტემის უმაგალითოდ მძლავრ სასიცოცხლო ძალას. თუმცა საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ უკანასკნელ ხანს ზოგიერთი წარუმატებლობა განიცადა, ჩვენ აქედან ბევრი სასარგებლო გაკვეთილი მივიღეთ. ჩვენ გამოვასწორეთ და ვასწორებთ ჩვენს რიგებში დაშვებულ ზოგიერთ შეცდომას, რომლებიც საჭიროა გამოსწორდეს. შეცდომების გამოსწორების შემდეგ ჩვენ უფრო ძლიერი და შემჭიდროებული ვიქნებით. მტრების მოლოდინის წინააღმდეგ, პროლეტარიატის საქმე კიდევ უფრო წარმატებით წავა წინ, და არა უკუღმა დატრიალდება.

რაც შეეხება იმპერიალიზმის ბედს, იქ სულ სხვა ვითარებაა. იქ იმპერიალიზმსა და ჩაგრულ ერებს შორის, იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, იმპერიალისტურ მთავრობებსა და ხალხებს შორის ძირეული ინტერესების შეჯახებაა. ეს შეჯახება სულ უფრო და უფრო მწვავდება, და არ არის ისეთი მკურნალი, რომელსაც შეეძლოს იპოვნოს რეცეპტი ამ სენის განსაკურნებლად.

რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიქტატურის ახლად აღმოცენებული სისტემა ბევრი მხრივ ჯერ კიდევ ხვდება მთელ რიგ სიძნელეებს, ჯერ კიდევ აქვს ბევრი სუსტი მხარე. მაგრამ ჩვენში ახლა ვითარება ბევრად უკეთესია, ვიდრე მაშინ იყო, როცა საბჭოთა კავშირი მარტოდმარტო იბრძოდა. ამასთანავე, ახლად აღმოცენებული რა მოვლენა არ ხვდება სიძნელეებს და არა აქვს სუსტი ადგილები? საქმე მომავალია. რა მიხვეულ-მოხვეულიც უნდა იყოს გზა, რომელიც წინ გვიდევს, კაცობრიობა საბოლოო ანგარიშით მაინც მიაღწევს ნათელ მიზანს — კომუნიზმს, და არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ამას.

„პრავდა“, 1956 წ. 30 დეკემბერი.

სალამი ჩრდილოეთ პოლუსიდან

ახალი წლის წინადღეებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ სადგურ „ჩრდილოეთ პოლუს-4“-ის კოლექტივს გაუგზავნა საახალწლო მილოცვის დეპეშა. 2 იანვარს რედაქციამ „ჩრდილოეთ პოლუს-4“-ის კოლექტივისგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

თბილისი,

„კომუნისტის“ რედაქციას

მოდრეიფე სამეცნიერო-საკვლევი სადგურის „ჩრდილოეთ პოლუს-4“-ის კოლექტივი გულითადად ულოცავს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ახალ წელს. გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ წარმატებებს საქართველოს სსრ ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში, კულტურის აყვავებაში.

ჩვენი კოლექტივი ახალ წელს შეხვდა ცენტრალური პოლარული აუზის კომპლექსური შესწავლისათვის გათვალისწინებული ყველა სამუშაოს შესრულებით. ამჟამად სადგური დრეიფობს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ნაკლებად შესწავლილ რაიონში— ატლანტიკის მახლობელ ნაწილში. ოკეანის ეს რაიონი, მისი სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, ხასიათდება ამინდის მერყეობით, ხშირი, სხვადასხვა მიმართულების ცვალებადი ძლიერი ქარებით. ჩვენ განუწყვეტლივ ვადევნებთ თვალყურს ჩრდილოეთ ატლანტიკის გავლენას ჰაერის ტემპერატურაზე, რომელიც ხშირად მინუს 2 გრადუსამდე ადის, ხოლო შემდეგ მინუს 40 გრადუსამდე მცირდება.

ახალ წელს სადგურის კოლექტივი შეხვდა გრინვიჩის მერიდიანის მახლობლად ჩრდილოეთ განედის 87-88 გრადუსების პარალელებს შუა. 1 იანვარს შესრულდა 1.000 დღე, რაც ჩვენი სადგური დრეიფობს ყინულოვანი ოკეანის სივრცეებზე. უკან მოვიტოვეთ 6.500 კილომეტრზე მეტი მანძილი, რაც დრეიფით გავიარეთ ამ 1.000 დღეში.

1957 წელს დამთავრდება პოლარელ მკვლევართა სამივე კოლექტივის მუშაობა „ჩრდილოეთ პოლუს-4“ სადგურზე.

დრალკინი,

სადგურ „ჩრდილოეთ პოლუს-4“-ის უფროსი.

ახალი გაზეთები

1957 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო — რესპუბლიკური გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ გამოდის აგრეთვე აზერბაიჯანულ ენაზე.

საოლქო გაზეთი, რომელიც სამხრეთ ოსეთში გამოდის ოსურ ენაზე, 1 იანვრიდან გამოდის რუსულ ენაზეც.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში პირველ იანვარს გამოვიდა მრავალტირაჟიანი გაზეთის, „მეტალურგის“ პირველი ნომერი. გაზეთი გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე. (საქდესი).

უკრაინელთა დელეგაცია მახარაძეში

მახარაძე. (ტელეფონით, საკ. კორ.). ამ დღეებში მახარაძეში ჩამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია 10 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობს გენიჩესკის კოლმეურნეობა „კრასნოე ზნამიას“ თავმჯდომარე ამხ. ბ. სკიბინსკი.

უკრაინელები მახარაძეში დარჩებიან რამდენიმე დღეს, გაეცნობიან სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის, სილაურის გენიჩესკის სახელობის, ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის, ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობების მუშაობის გამოცდილებას, შეამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას და გააფორმებენ ახალ ხელშეკრულებას.

უკრაინელებმა თავიანთ მახარაძელ მეგობრებს ჩამოუტანეს სხვადასხვა ძვირფასი საჩუქრები.

მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი

სტეფანე ხალტურინის დაბადებიდან 100 წლისთავი

რუსეთში 1861 წლის რეფორმების შემდეგ იწყება კაპიტალიზმის შედარებით ჩქარი განვითარება, იზრდება ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა, ბატონყმობიდან განთავისუფლებული, გაბოგანოებული გლეხობა აწყდება ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს, ერთიორად და ერთისამად მრავლდება მუშათა რიცხვი. მაგრამ მუშათა მდგომარეობა 70-იან წლებში მეტად მძიმე და აუტანელი იყო. სამუშაო დღე 14-15 საათს აღწევდა, ძალიან მცირე იყო ხელფასი, ველური და საშინელი იყო მუშათა ექსპლოატაციის ფორმები. მუშებისათვის არ არსებობდა დაზღვევა, სამედიცინო მომსახურება, ენით აუწერელი იყო მათი საბინაო პირობები.



მუშათა მძიმე მდგომარეობა ძლიერ აფიქრებდა ბევრ მოწინავე მუშას, ინტელიგენტს, პროგრესულ ადამიანს. იწყება გამოღვიძება და აშკარა ბრძოლა ცარიზმის, კაპიტალისტების, მემამულეების წინააღმდეგ. წარმოიშვნენ მუშათა პირველი ორგანიზაციები. მუშათა წრეებიდან გამოდიან უშიშარი მებრძოლები, რომლებიც მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალებს ახმარენ მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მებრძოლი იყო სტეფანე ხალტურინი, რომელმაც თავისი ძვირფასი სიცოცხლეც შესწირა ამ საქმეს.

* * *

სტეფანე ნიკოლოზის-ძე ხალტურინი დაიბადა 1856 წლის 21 დეკემბერს (2 იანვარს) ვიატკის გუბერნიის ორიოლის მაზრის სოფელ ხოლევინსკში (ბოლშიე ჟურავლში). მისი მშობლები ღარიბი მეშჩანები იყვნენ. მათ იგი ჯერ მიაბარეს სამაზრო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლობდა ვიატკის საერობო სასწავლებელში, რომელიც შექმნილი იყო სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ცოდნის გასავრცელებლად. ხალტურინი ამ სასწავლებლიდან გამოვიდა 1874 წელს, შეისწავლა დურგლობა.

1876 წელს ხალტურინი გადასახლდა პეტერბურგში და დაიწყო მუშაობა დურგლად ერთ სახელოსნოში. აქ იგი ეცნობა და უახლოვდება ნაროდნიკებს, რომლებმაც მას გაუღვიძეს ინტერესი გერმანული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი, ხოლო შემდეგ ჩაიკოვსკელებს. 1875-1876 წლის რევოლუციურმა ტალღამ იგი გახადა მხურვალე პროპაგანდისტად მუშებს შორის, მათ გულის მესაიდუმლედ. ხალტურინი გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ერთი ქარხნიდან მეორეში, ყველგან აბამდა მუშებთან კავშირს, ყველგან კრებდა ცნობებს მუშების მდგომარეობის, მათი რიცხვის, ხელფასის, სამუშაო დღის ხანგრძლივობის, ჯარიმების შესახებ და სხვ.

გ. ვ. პლეხანოვი, რომელსაც ხალტურინთან ახლო მეგობრობა და კავშირი ჰქონდა, მას თავის მოგონებაში („რუსი მუშები რევოლუციურ მოძრაობაში“) ახასიათებს როგორც უაღრესად ნაკითხ და განათლებულ ადამიანს, რომელსაც კარგად შეეძლო წაკითხულის გაგება და იქიდან სათანადო დასკვნების გამოტანა, რომ ამ მხრივ იგი ბევრად მაღლა იდგა მის თანამედროვე ნაროდნიკ-ინტელიგენტებზე. იგი აღნიშნავს, რომ ხალტურინი ეჭვის თვალით უცქეროდა მეამბოხე ინტელიგენტებსა და სტუდენტებს, მათს საქმეებს. სამაგიეროდ იგი დიდი სიმპათიით ეპყრობოდა მუშებს, მათში ხედავდა ყველაზე საიმედო რევოლუციონერებს და თვითეული მუშის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, ხშირად ესაუბრებოდა მათ, ურჩევდა წიგნებს და სხვ. როცა ხალტურინი გამოდიოდა მუშების წინაშე, ლაპარაკობდა მხურვალედ, დამარწმუნებლად. ყოველივე ამის გამო მან მუშებს შორის დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიხვეჭა.

დურგალი სტეფანე ხალტურინი ზეიკალ ვიქტორ ობნორსკისთან ერთად ორგანიზატორია „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირისა“, რომელიც 1878 წელს პეტერბურგში შეიქმნა. ამ კავშირის პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ იგი ემხრობა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიებს. კავშირის საბოლოო მიზნად დასახული იყო სოციალისტური რევოლუციის გატარება, „სახელმწიფოს არსებული პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების დამბობა, როგორც უაღრესად უსამართლო წყობილებისა“. კავშირის უახლოეს ამოცანად კი დასახული იყო პოლიტიკურ თავისუფლებათა და პოლიტიკურ უფლებათა მოპოვება.

1879 წელს კავშირის ერთმა წევრმა ურჩია ხალტურინს დურგლად მოწყობილიყო ზამთრის სასახლეში. ამის შესახებ ხალტურინი ესაუბრა თავის ამხანაგებს. „წადი, ბოლოს მოუღებ მეფეს“, — უთხრა ერთმა ამხანაგმა. ხალტურინი სერიოზულად დააფიქრა ამ გარემოებამ. მან ამხანაგებს სთხოვა არავისთვის გაემხილათ ეს საქმე. მეფე ალექსანდრე მეორის მოკვლა პოლიტიკურ თავისუფლებას მოიტანს, პოლიტიკური თავისუფლების დროს კი წინ წავა მუშათა მოძრაობა, — ფიქრობდა ხალტურინი და ამ მიზნით გადაწყვიტა ზამთრის სასახლეში მოწყობა. სასახლეში მან უმაგალითო გამბედაობა და გმირობა გამჩრიხინა. მიუხედავად იმისა, რომ წამდაუწუმ უთვალთვალებდა პოლიცია, მან მაინც შეძლო მეფის სასახლეში აფეთქების მოწყობა 1880 წლის 5 თებერვალს, მაგრამ მეფე სიკვდილს გადარჩა. ხალტურინი ბიიმალა. მას გაფაციცებით დაეძებდა მეფის პოლიცია. მისი ათასობით სურათი დაგზავნა მთელ რუსეთში, მონასტრებშიც კი, რომ სადმე ეპოვნათ და შეეპყროთ, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ხალტურინი შემდეგაც კიდევ ორ წელს განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას.

კავშირის ძველ წევრებს პოლიციის დევნის გამო არ შეეძლოთ პეტერბურგში ცხოვრება. ისინი გადადიან ოდესაში, ცდილობენ იქ შექმნან ორგანიზაციის ბირთვი და შემოიკრიბონ მუშები, მაგრამ სასტიკ დევნას განიცდიდნენ ოდესის პროკურორის გენერალ სტრელნიკოვის მხრივ. კავშირის წევრებმა გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება. 1881 წლის მარტს ელისავეტგრადში მოკლა სტრელნიკოვი. ხალტურინი მიეშველა ამხანაგს, მაგრამ პოლიციამ შეიპყრო და განაიარაღა. ისინი სასწრაფოდ გასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს 1882 წ. 22 მარტს. ხალტურინი მაშინ ატარებდა გამოცვლილ გვარს. მეფის მთავრობამ და პოლიციამ მხოლოდ დასჯის შემდეგ შეიტყეს, რომ ისინი გაუსწორდნენ ხალტურინს. ასე გმირულად დაღუპა 70-იანი წლების ერთ-ერთი დიდი რევოლუციონერი.

ხალტურინის ერთ-ერთი შეცდომა ის იყო, რომ კავშირის განადგურების შემდეგ იგი მიემხრო ნაროდნიკებს, რომლებმაც აიძულეს ხელი აეღო მუშათა ორგანიზაციის შექმნაზე და დასდგომოდა ინდივიდუალური ტერორის გზას.

ვ. ი. ლენინი დიდ პატივს სცემდა ხალტურინს. კრემლში, ლენინის კაბინეტში, ყოველთვის იყო ხალტურინის ბარელიეფი. ლენინს უეჭველად ხალტურინი ჰყავდა მხედველობაში, როცა თავის 1912 წელს დაწერილ წერილში — „წინათ და ახლა“ ამ სიტყვებს ამბობდა: „სამოცდაათიანი წლები მუშათა კლასის სრულიად უმნიშვნელო ზედაფენას შეეხო. მისმა მოწინავეებმა უკვე მაშინ გამოიჩინეს თავი, როგორც მუშათა დემოკრატიის დიდმა მოღვაწეებმა“...

კ. ჯოხიძე.

მ. დ. წინამძღვრიშვილის დაკრძალვა

3 იანვარს, თბილისში მოხდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილის დაკრძალვა.

დილიდან კ. ე. ვოროშილოვის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლისაკენ, სადაც დასვენებული იყო კუბო განსვენებულის ცხედრით, განუწყვეტლივ მიდიოდნენ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლნი, რათა უკანასკნელად გამოთხოვებოდნენ თვალსაჩინო საბჭოთა სპეციალისტ-თერაპევტს და მეცნიერს.

წითელი და შავი ქსოვილებით მორთულ ვრცელ დარბაზში ყვავილებით დაფარულ პოსტამენტზე დასვენებულია კუბო მ. დ. წინამძღვრიშვილის ცხედრით. გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. კუბოს ამკობენ მრავალი გვირგვინით. საპატიო ყარაულში დგანან მედიცინის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

სამოქალაქო პანაშვიდი დამთავრებულია. ფრთხილად იღებენ პოსტამენტიდან კუბოს მ. დ. წინამძღვრიშვილის ცხედრით. იგი მიაქვთ დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრებს. სამგლოვიარო პროცესია მიემართება ვაკის სასაფლაოსაკენ.

სასაფლაოზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. იგი გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დ. მამამთავრიშვილმა.

გამოდიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით პროფესორი კ. ერისთავი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოსა და თბილისის თერაპევტთა საზოგადოებებისაგან დოცენტი

ვ. ულბრიხტის საახალწლო გამოსვლა რადიოთი

ბერლინი, 2 იანვარი. (საკდესი). ადნის საგენტომ გადასცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ულბრიხტის საახალწლო სიტყვა რადიოთი.

ახალ წელს, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს სურს, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკამ შემდგომი წარმატებები მოიპოვოს და რომ მოხერხდეს მშვიდობის უზრუნველყოფა. წინადადებებს განაიარაღების შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა დასავლეთის სახელმწიფოებს შესთავაზა, ჩვენი ხალხი ყველგან დიდი კმაყოფილებით შეხვდა. გერმანიის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად ჩვენ გვსურს, რომ ამ წინადადებებმა გამოიწვიონ მსოფლიო სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა დაახლოება დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან.

1956 წელს მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა დარწმუნდა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშურ-გლეხური ხელისუფლება მტკიცეა. პოლიტიკა, რომელსაც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი ახორციელებენ, სწორი აღმოჩნდა. სწორი პოლიტიკის განხორციელების მეოხებით მოხერხდა უფრო ადრე, ვიდრე გათვალისწინებული იყო, პენსიების გადიდება და მშრომელთა გარკვეული ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესება. მშრომელთა ღონისძიებების მეოხებით 1956 წელს მოხერხდა 6 პროცენტით გადიდებულიყო პროდუქციის რაოდენობა.

წელს განგრძობილ იქნება ღონისძიებანი მშრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახალი ეკონომიური ამოცანების შესრულების გარდა, განაგრძო ვ. ულბრიხტმა, ჩვენი დიდმნიშვნელოვანი საქმეა ახალ წელს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

ილაპარაკა რა დასავლეთ გერმანიაში არსებული მდგომარეობის საკითხზე, ვ. ულბრიხტმა თქვა:

მდგომარეობა დასავლეთ გერმანიაში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებით. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის მილიტარისტთა ინტერესები ეწინააღმდეგება დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასისა და მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს. ადენაუერი და ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ხელმძღვანელობა ჩიხში მოექცნენ. ადენაუერის მტკიცება, თითქოს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელების გზით, შეიარაღების გზით შეიძლებოდეს გაერთიანების უზრუნველყოფა, აბსურდული აღმოჩნდა.

რას მოუტანს 1957 წელი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას? ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია თვით მასზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ წელს შეიძლება დამარცხება იგემოს ადენაუერის მთავრობისა და ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ხელმძღვანელობის პოლიტიკამ. დასავლეთ გერმანიის მუშათა ორგანიზაციებმა და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რომ მოახერხონ ურთიერთგაგების მიღწევა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მუშათა კლასის უფლებებისათვის ბრძოლის შედეგად შეგვეკვეცა რეაქციული მსხვილი მონოპოლიების ძალაუფლება.

თავისი სიტყვის დასასრულს ვ. ულბრიხტმა განაცხადა:

ჩვენი ყველაზე სანუკვარი სურვილი 1957 წელს ის არის, რომ მშვიდობის საქმემ გაიმარჯვოს აგრეთვე დასავლეთ გერმანიაში, რომ მოხერხდეს ერთგვარი ნაბიჯი გადადგას წინ გერმანიის მუშათა კლასის ერთიანობისა და გერმანიის ყველა მშვიდობისმოყვარე ძალთა თანამშრომლობის განმტკიცების მიმართულებით საერთო მტრის — გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელმაც თავი წამოჰყო დასავლეთ გერმანიაში. მაშინ შეგვლებდით მოგვეახლოებინა ჩვენი სამშობლოს ერთიანობის აღდგენის დღე.

პარიზი ინდოეთის ეროვნული კონგრესის 62-ე ყრილობის გახსნის გამო

დელი, 3 იანვარი. (საკდესი). ინდორაში „მუშათა კომიტეტის“ სესიით გაიხსნა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის 62-ე ყრილობა.

ყრილობას ინდოეთში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რამდენადაც იქ განხილულ იქნება პარტიის პოლიტიკა და პროგრამა მომავალ საყოველთაო არჩევნებში. გარდა ამისა, ყრილობაზე მოელიან ნერუს ცნობას ეიზენჰაუერთან და ჯოუ ენ-ლაისთან მოლაპარაკების შესახებ.

გამოქვეყნდა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის წინასაარჩევნო მანიფესტის პროექტი. ამ მანიფესტში პარტია ადასტურებს თავის მიზანს — შექმნას „საკუთარი სოციალისტური ხასიათის“ საზოგადოება.

„რევოლუცია ინდოეთში, — ნათქვამია მანიფესტში, — შეიძლება მხოლოდ მაშინ დამთავრდეს, როცა პოლიტიკურ რევოლუციას მოჰყვება ეკონომიური, აგრეთვე სოციალური რევოლუციები. ორივე ეს რევოლუციები თანდათანობით ხდება ინდოეთში, მაგრამ ინდოეთის სულისკვეთების და მეთოდის შესაბამისად ეს რევოლუციები ხდება მშვიდობიანად და თანამშრომლობის სულისკვეთებით. მნიშვნელოვანი პროგრესი მოხდა, და ცვლილებანი გაგრძელდება ისე, რომ ბოლოს ჩვენ შეძლოთ დავამყაროთ მთლიანად სოციალისტური ხასიათის საზოგადოება, მივანიჭოთ თავისუფლება, კეთილდღეობა და შესაძლებლობათა თანასწორობა ყველას“.

მანიფესტის სპეციალური განყოფილები მიძღვნილია საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი. ამ პოლიტიკის მიზანი, ნათქვამია დოკუმენტში, ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ ომი და ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან.

გოას შესახებ მანიფესტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინდოეთი ვეღარ მოითმენს კოლონიურ სამფლობელოს თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ეცდება მიაღწიოს საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

ინდოეთის ეროვნული კონგრესი ეცდება აგრეთვე მშვიდობიანი გზით გადაჭრას ინდოეთსა და პაკისტანს შორის სადავო საკითხები.

მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ნათქვამია შემდეგ მანიფესტში, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ პანჩა შილას პრინციპების საფუძველზე. მანიფესტი მიესალმება ბანდუნგის კონფერენციას და გაფრთხილებას იძლევა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან საქმე ძველი კოლონიური მეთოდებით აწარმოონ. „ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთი ცდები განწირულია ჩასაფუშავად, ისევე როგორც წარმატებით ვერ დაგვირგვინდება უცხოელთა ხელისუფლების ან იდეოლოგიის ყოველგვარი თავსმოხვევა“. ინდოეთის ეროვნული კონგრესი მოითხოვს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს მისი კანონიური ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უამისოდ ვერ იქნება მთლიანად წარმომადგენლობითი ორგანიზაცია და რომ შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემები ვერ გადაიჭრება ჩინეთთან თანამშრომლობის გაუწევლად.

შემდეგ მანიფესტი აღნიშნავს, რომ სამხედრო პაქტებსა და კავშირებში მონაწილეობის მიუღებლობა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის დადებითნიშვნელოვანი ასპექტია. მანიფესტი გადაჭრით ამბობს რასობრივ დისკრიმინაციას სამხრეთ აფრიკის კავშირში.

ეხება რა ეკონომიური დაგეგმვის საკითხებს, მანიფესტი სახავს მიზანს — მიღწეულ იქნას ცხოვრების ისეთი დონე, რომ ყოველ ადამიანს ჰქონდეს ყველაფერი, რაც საჭიროა განათლებისათვის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და პროდუქტიული მუშაობისათვის. ეკონომიურ ურთიერთობაში არ უნდა იყოს ექსპლოატაცია და მონოპოლიების ბატონობა, ხოლო უთანასწორობა შემოსავლში პროგრესულად უნდა მცირდებოდეს.

მანიფესტი არ ითვალისწინებს არსებულ კერძო სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გამოწვეულ იქნება აუცილებლობით ან როცა ამ საწარმოებს უკავიათ ინდოეთის მრეწველობის მთავარი პოზიციები. კერძო მრეწველობა წახალისებულ იქნება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გეგმის ფარგლებში. ახასიათებს რა მეორე ხუთწლიან გეგმას, მანიფესტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი მოქნილია და შეიცვლება ინდოეთის გარემოებათა და შესაძლებლობათა შესაბამისად.

მანიფესტში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მძიმე მრეწველობის განვითარებას.

შემდეგ გათვალისწინებულია საგადასახადო სისტემის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ განვითარების გეგმის შესასრულებლად რესურსების გამონახვის ტვირთი დაიწვეს არა მცირე ხალხს, არამედ „იმათაც, ვისაც უკეთ შეუძლია ზიდოს იგი“.

აგრარულ საკითხში ინდოეთის ეროვნული კონგრესი ემხრობა აგრარული რეფორმების განხორციელებას და მიწის საკუთრების ზღვარის თანდათანობით შემოღებას. მანიფესტში აღნიშნულია, რომ სასურველია კოოპერაციულ საფუძველზე მიწის უფრო ინტენსიური დამუშავება. კოოპერაციული მოძრაობა უნდა განვითარდეს როგორც სახალხო მოძრაობა სახელმწიფოს დახმარებითა და ხელმძღვანელობით და კოოპერაცია ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

მანიფესტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა მეორე ხუთწლიანი გეგმით სასოფლო-სამეურნეო წარმოება გადიდდეს 35-40 პროცენტით.

მანიფესტში ჩამოყალიბებულია აგრეთვე საშინაო პოლიტიკის მთელი რიგი სხვა საკითხები.

ინდოეთში საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის მიწვევის შესახებ

ინდოეთის მთავრობამ მიიწვია საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი ესტუმროს ინდოეთს 1957 წლის იანვრის მეორე ნახევარში.

მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა მიიღო ინდოეთის მთავრობის მიწვევა.

ჯოუ ენ-ლაი ჩინეთში დაბრუნდა

პეკინი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, დღეს ვიეტნამში, კამბოჯაში, ინდოეთში, ბირმასა და პაკისტანში მოგზაურობიდან კუნმინში (იუნანის პროვინცია) დაბრუნდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ხე ლუნი და მათი თანმხლები პირები.

ორდანიის სახელმწიფო მინისტრის განცხადება

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ამბობდა, იუწყება, დღეს ორდანიის სახელმწიფო მინისტრმა რამაჟამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ორდანიის მთავრობა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებს. ორდანია, დასძინა მან, უარყოფს ყოველგვარ კოლონიურ გავლენას და უარს ამბობს დახმარებაზე, რომელსაც თან ახლავს რაიმე პოლიტიკური პირობა.

ხალხთა ძალა უძლეველია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა გაზეთ „რუდე პრავოს“ რედაქციის კითხვებზე ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის შესახებ

ბერლინი, 1 იანვარი, (საკდესი). ყველა გაზეთი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოდის, აქვეყნებს გაზეთ „რუდე პრავოს“ რედაქციის კითხვებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს ან მოჰყავს მისი შინაარსი.

გაზეთი „ნოიეს დეიჩლანდი“ სტატიაში სათაურით „ხალხთა ძალა უძლეველია“ გამოჰყოფს ინტერვიუს იმ ადგილს, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საჭიროა მთელი ძალების მობილიზება კომუნისტური და მუშათა პარტიების განმტკიცებისათვის, პროლეტარული სოლიდარობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რიგების დარაზმვისათვის, რომ საჭიროა ვიყოთ ერთგულნი მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპისა, საბრძოლო მოწოდებისა „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

გაზეთი „ბერლინერ ციტუნგი“, ახასიათებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს როგორც ახალ წინადადებას განიარაღებისა და თანამშრომლობის შესახებ, წერს, რომ იგი სახავს ხელსაყრელ პერსპექტივებს.

ცრუმაში სათაურით — „ხრუშჩოვი სახავს მშვიდობის გზას“ გაზეთი „ნოიე ციტი“ ხაზგასმით აღნიშნავს ინტერვიუს სამ ძირითად მომენტს: განიარაღება, კოლექტიური უშიშროება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს „რუდე პრავოს“ რედაქციის კითხვებზე, გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი“ წერს: „დღეს თვითეულისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ იმპერიალისტთა ყოველი ცდა გააჩაღონ ომი და რეაქციული ძალების ყოველი ცდა ხელყონ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მიღწევები სათანადო წინააღმდეგობას წააწყდება“.

აღბანელი ხალხის შესანიშნავი წარმატებანი

ტირანა, 2 იანვარი. (საკდესი). ალბანელმა ხალხმა განვლილ 1956 წელს შესანიშნავ შედეგებს მიაღწია სოციალისტურ მშენებლობაში. ამჟამად ალბანეთის მრეწველობა ერთ თვეზე ნაკლებ ხანში უშვებს იმდენსავე პროდუქციას, რამდენსაც მთელ 1938 წელს უშვებდა. ალბანეთში გაჩნდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, აშენდა მაღაროები, შახტები, სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. მშრომელები კანონიერი სიამაყით ლაპარაკობენ ალბანეთის პირველ ნავთობგადამამუშავებელ და თევზის კონსერვის ქარხნებზე, ყრომის სამადნეზე და სხვა სამრეწველო ობიექტებზე, რომლებიც მწყობრში ჩადგნენ გასულ წელს. ამ საწარმოთა აგებაში მშენებლებს ძმური დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებმა.

გასულ წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ ომამდელ დროსთან შედარებით 60-ჯერ მეტი ქვანახშირი, 18-ჯერ მეტი ყრომის მადანი, ერთნახევარჯერ მეტი ნავთობი, ათჯერ მეტი ელექტროენერგია, 35-ჯერ მეტი დახერხილი მასალა, შვიდჯერ მეტი ცემენტი მიიღო.

საწარმოებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მოვიდნენ ახალი კადრები, რომლებმაც დაამთავრეს ალბანეთის უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ინსტიტუტები. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატში მეტი ინჟინერი მუშაობს, ვიდრე მთელ ალბანეთში იყო მეფე ზოგუს ანტიხალხური რეჟიმის დროს.

სახალხო ხელისუფლება დაუცხრომლად ზრუნავს მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ეროვნული დღესასწაულის — განთავისუფლების დღის — წინ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს დადგენილება სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების, მცირეხელფასიანი მუშაკთა ხელფასის გადიდების, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის პენსიების, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა პენსიების გადიდების შესახებ. ამან მოსახლეობას 2.600 მილიონი ლეკი დამატებითი სარგებლობა მისცა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი გეგმები შუა აღმოსავლეთში

ეიზენჰაუერის თათბირი კონგრესის ლიდერებთან

ვაშინგტონი, 2 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და მთავრობის წარმომადგენლები გუშინ 4 საათს თათბირობდნენ თეთრ სახლში დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიათა ლიდერებთან კონგრესში.

თათბირის შემდეგ თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჰეგერტიმ გაკეთა ბენსცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ თათბირმა განიხილა „საგარეო პოლიტიკა, ურთიერთუშიშროებისა და ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფა“. გარდა ამისა, თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის ცნობა პრეზიდენტისადმი მისი მოხსენების შესახებ უნგრელ ლტოლვილთა საკითხზე.

უპასუხა რა კითხვებზე, ჰეგერტიმ თქვა, რომ თათბირზე ძირითადი ყურადღება მიექცა საერთაშორისო ამბების მიმოხილვას და განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამ თათბირზე პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და დალესი ცდილობდნენ მიეღწიათ, რომ კონგრესს მხარი დაეჭირა მთავრობის გეგმისათვის, რომელიც ფაქტიურად მიზნად ისახავს ამერიკის ბატონობა დამყაროს შუა აღმოსავლეთში. თუმცა, როგორც ამერიკის პრესა იუწყება, მთავრობის ახალი დოქტრინის დეტალები ჯერ არ არის შემუშავებული, მაგრამ ეს გათვალისწინებული გეგმა უნდა შეიცავდეს პოლიტიკურ დეკლარაციას, რომელიც უნდა უდრიდეს შუა აღმოსავლეთში შეიარაღებული ძალების გამოყენების აშკარა მუქარას. ასეთ დეკლარაციას მხარი უნდა დაუჭიროს კონგრესის გადაწყვეტილებამ, რომ ეიზენჰაუერს მიენიჭოს რწმუნებანი თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ჯარები. გარდა ამისა, გეგმის მიზანია შეეცადონ გააფართოონ ამერიკის ეკონომიური გავლენა ამ რაიონში.

თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჰეგერტიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტის მომართვა შუა აღმოსავლეთში პოლიტიკის შესახებ გადაეცემა კონგრესს მომართვამდე „ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ“, რომელიც განზრახულია 10 იანვრისათვის.

სირიის პრემიერ-მინისტრის განცხადება

დამასკო, 2 იანვარი. (საკდესი). სირიის პრემიერ-მინისტრმა საბრი ასალმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „სირიის ახალი მთავრობა განახორციელებს არაბთა ეროვნულ პოლიტიკას პარლამენტის კონსოლიდაციის ბლოკის საპროგრამო ვალდებულების საფუძველზე“.

პარლამენტის კონსოლიდაციის ფრონტმა, რომელიც სირიის პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს 1956 წლის აპრილში, თავის ფბიცაანად განაცხადა არაბთა ქვეყნების ხალხების ერთიანობის მიღწევა, ბრძოლა იმპერიალიზმის, სამხედრო კავშირების წინააღმდეგ და ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელება; ბანდუნგის კონფერენციის პრინციპების დაცვა.



ზამთარი ქუთაისში. სტალინის ქუჩა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

გამოცდები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო ზამთრის საგამოცდო სესია. საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შვიდ ფაკულტეტზე გამოცდებს აბარებს 5 ათასამდე სტუდენტი. აქ გამოცდებს აბარებენ აგრეთვე საღამოს ფაკულტეტის სტუდენტები. მათ შორის არიან თბილისის აბრეშუმსაქმოსავი ფაბრიკის წარმომადგენელი ე. რაზმაძე, რომელიც იძენს ბოჭკოვანი მასალების ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობას, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ზეინკალი ი. ჯანელიძე, რომელიც სწავლობს ლითონსაჭრელი ჩარხების მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიას, და სხვები. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მე-5 კურსის 239 სტუდენტი, რომლებმაც გადამდე დაამთავრეს სესია, პრაქტიკაზე მიემგზავრება დონბასისა და მოსკოვის აუზის ქვანახშირის შახტებში.

თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში გამოცდებს აბარებს 3 ათასამდე კაცი. ექსპლოატაციის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტებმა პირველი გამოცდა უსაფრთხოების ტექნიკაში ფრიადზე და კარგზე ჩააბარეს. საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს გამოცდები აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო, ჰიდროგეოგრ., სამედიცინო, ზოოვეტერინარულ და რეაბილიტაციის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. (საქდესი).

სპორტის ამბები

★ ★

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება ინსბრუკში

ვენა, 31 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ინსბრუკში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, სსრ კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ფინეთის, შვეიცის, შვეიცარიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ნორვეგიის სპორტსმენებმა.

მწვავე სპორტული ბრძოლის შედეგად საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. პირველი ადგილი დაიკავა ნ. შამოვმა (სსრ კავშირი), რომელმაც მოაგროვა 221,5 ბალი. მეორე იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი — ნ. კამენსკი — 218,5 ბალი. მესამე ადგილი დაიკავა მ. ბოლკარტმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — 217,5 ბალი. საბჭოთა სპორტსმენმა კ. ზაქაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად

გასული წლის სასპორტო სეზონში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური ტურნირი ფეხბურთში არ გათამაშებულა. იგი მიეწყობა მიმდინარე წელს რესპუბლიკების ჩემპიონებისა და „ა“ და „ბ“ კლასის გუნდების მონაწილეობით. ეს იქნება 1956-1957 წლების თასის გათამაშების დასკვნითი ასპარეზობა.

გასულ სასპორტო სეზონში გამართული სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ორი ეტაპი საინტერესო და მასობრივი იყო. ის ფაქტი, რომ ამ ეტაპებზე ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო 20.000-მდე გუნდმა, ცხადყოფს, თუ რამდენად მასობრივი და პოპულარული გახდა ჩვენში ფეხბურთი.

გარდა უზბეკეთისა და ტაჯიკეთისა, ყველა მომმე რესპუბლიკაში, აგრეთვე მოსკოვსა და ლენინგრადში თასის მოსაპოვებლად გამართული ბრძოლა დიდი ხანია დამთავრდა. უზბეკეთსა და ტაჯიკეთში რესპუბლიკური თასის გათამაშება მიმდინარე წლის მაისში გაიმართება.

რსფსრ თასის გათამაშებაში გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძოდა 12.000 გუნდი, უკრაინაში — 3.074 გუნდი, მოსკოვში 1.238 გუნდი, ბელორუსიაში — 514 გუნდი, აზერბაიჯანში — 450 გუნდი, ყაზახეთში — 300 გუნდი, საქართველოში — 268 გუნდი, ლატვიაში — 236 გუნდი, ესტონეთში — 78 გუნდი.

დიდი ასპარეზობები

დაიწყო ახალი, 1957 წლის სასპორტო სეზონი. ამ სეზონში საერთო ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო მეგობრული სპორტული ასპარეზობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გაიმართება. ასპარეზობის პროგრამაში შედის ვაეთათვის სპორტის 24 სახეობა, ქალთათვის — 15 სახეობა.

გარდა ამ შეხვედრებისა, მომავალ წელს გაიმართება მოსწავლეთა და სტუდენტთა ტრადიციული სპარტაკიადები, აგრეთვე მომმე რესპუბლიკათა სპარტაკიადები. ამ შეხვედრებში გასულ წლებთან შედარებით გაფართოებულია ასპარეზობათა პროგრამა. შეჯიბრება მოეწყობა სპორტის ოცამდე სახეობაში. დიდ ინტერესს იწვევს საკავშირო ჩემპიონატები ფეხბურთში „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებისათვის, სსრ კავშირის თასის გათამაშების უკანასკნელი ეტაპი. ჩვენს ქვეყანაში კალათბურთის არსებობის 50 წლისთავთან დაკავშირებით ლენინგრადში გაიმართება უძლიერეს კალათბურთელთა ტურნირი.

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის 1957 წლის კალენდარი შედგენილია იმ ვარაუდით, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს და განმტკიცდეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობა, გაძლიერდეს ბრძოლა სპორტსმენთა დაოსტატებისა და ახალი რეკორდებისათვის.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე

დიდი საცირკო წარმოდგენა

რსფსრ სახალხო არტისტი

ვლადიმერ დუროვი

თავისი ოთხფეხა მეგობარ ცხოველებით

რსფსრ დამსახურებული არტისტები

დები კოხები

და ახლად ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

1 იანვრიდან 10 იანვრამდე

ყოველდღე 2 საბავშვო წარმოდგენა

საზამთრო არდადეგების დღეებში

საახალწლო ნაძვისხე

ბავშვთათვის სპეციალური პროგრამით

სახალხო არტისტი

ვლადიმერ დუროვი

დამსახურებული არტისტები

დები კოხები

დიდი საცირკო პროგრამა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე, წინასწარ ბილეთების შეძენა სახცირკის სალაროებში.

გრძელდება ხელისმოწერა 1957 წლის 20 იანვრამდე

ჟურნალზე „**საბჭოთა მედიცინა**“

ხელისმოწერა მიიღება კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებში, საგენტოებში და „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში.

„სოიუზპეჩატი“.

ღღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედის ტბა (დილას), ტოსკა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ტარიელ გოლუა (დილას), საქმიანი კაცი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი (დილას), სამი ბულბულის ქუჩა № 17 (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — საუცხოო შენადნობი (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — ოქროს ქალაქი (დილას), დედინაცვალი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (დილას), სამი პატარძალი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (აბონემენტი № 29, 12 ს.), ოქროს კვეკერჩინები (აბონემენტი № 20, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კომბლე (11 ს. და 3 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (12 ს. და 3 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი — თაფლობის თვე, ამირანი, **სპარტაკი,** თბილისი, **პლეხანოვისა** და **ვოროშილოვის სახელობის** კლუბები — ორტემკის თავგადასავალი, **კოლხიდა, კოლმეურნე, კომუნარების** ბაღი — მუნა, **ოფიცერთა** სახლი, **მილიციის** სამმართველოს **ძერჟინსკის** სახელობის **საზაფხულო** კლუბი, **გორკის** სახელობის **კულტურის** სახლი — ვენა ცეკვავს, **კიროვის** სახელობის **პარკი, ძერჟინსკის** სახელობის **კლუბი** — აბეზარა, **კომკავშირელი** — ბაში-აჩუკი, **სარეწაო** კოოპერაციის **ცენტრალური** კულტურის **სახლი** — მეტროენი, **26 კომისრის** სახელობის—ვინ არის იგი?, **დიდუბე** — მემკვიდრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებთან — 3-63-03, 3-82-05 პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** **პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 3-81-84, **მრეწველობისა და ტრანსპორტის,** პრესის მიმოხილვის — 3-16-90 **სოფლის მეურნეობის** — 3-20-13, **კულტურისა** და ყოფაცხოვრების, **ლიტერატურისა** და ხელოვნების — 3-80-84, **საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა** და **პარტბიუროსი** — 3-57-61, **ადგილობრივი** და **უცხოეთის** ინფორმაციის — 3-80-83, **წერილების** — 3-73-24, **განცხადებების** მიღების — 3-64-42, **გამომშვების** — 3-81-65, **გამომცემლობის** დირექტორის — 3-65-41, **სტამბის** დირექტორის — 3-77-70.

УЭ 00701 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.